# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 23 ივნისი 1995 № 35 (173) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ხვალ, ჩვენი დროით საღამოს 6 საათიდან, Star TV-ის მეშვეობით იხილეთ რაგბის მესამე მსოფლიო თასის ფინალი: სამხრეთი აფრიკა — ახალი ზელანდია

## ლომუს თითო შებოჭვა 5000 რანდი ღირს



ამ ეპოქალური მატჩისათვის ინტერესი იმდენად დიდია, რომ მარაქაში პოლიტიკური მოღვაწეებიც გაერივნენ. სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკის პირველ ზანგ პრეზიდენტ ნელსონ მანდელას რაგბი შარშანდლამდე უკანასკნელად 1955 წელს ენახა, „ბრიტანელი ლომები" რასიზმის ციტადელში რომ სტუმრობდნენ, ახლა კი თავისი ზელანდიელი კოლეგა, პრემიერ-მინისტრი ჯიმ ბოლჯერი გულითადად მოუკითხავს და ალუნიშნავს რა არათეთრი, ზღვისრეთელი ჯონა ლომუს განსაკუთრებული როლი, უღიარებია, „ოლ ბლექსი" ვებ ელისის სახელობის ოქროცურვილი თასის მოპოვების ფავორიტად მიმაჩნიაო.

ლომუზე სრულიად განსხვავებული აზრი ჰქონიათ სხვებს. ასე მაგალითად, ამ ზეკაცის მიერ გათელილსა და მოსროლილ ინგლისის კაპიტან ვილ ქარლინგს უთქვამს, ღმერთმა მაშოროს მაგ არანორმალურთან მომავალშიც შეხვედრაო. ბუნების შეცდომად მიუჩნევია ლომუ სამხრეთი აფრიკის მწვრთნელ ქიჩ ქრისთის, ამ ქვეყნის გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილეს — ზანგ ანტუ ჰოლომისას კი სრულიად სერიოზულად მოუთხოვია პარლამენტში, ჩვენი ნაკრების წევრი „ქურციკები" ამ მხეცისაგან კანონით ისე დავიცვათ, ვითომც იშვიათი ჯიშის ცხოველები იყვნენ, ვინაიდან ეგ მტარვალი აშკარად უწყალოდ ეპყრობა მეტოქეებსო.

ლომუს ასალაგმად სხვებმაც გამოიღეს ხელი. ნავთობის ნაწარმით მოვაჭრე კომპანია „შელის" სამხრეთაფრიკულ ფილიალს დაუქადნია, რამდენჯერაც ჩვენი ბიჭები ვაჟკაცურად და წესის დაცვით შებოჭავენ ლომუს, იმდენჯერ 5 ათას რანდს (რანდი ამერიკული დოლარის მესამედია) ჩაკურიცხავთ ზანგურ თემებში რაგბის გავრცელების ხელშემწყობ ფონდსო. ამ ცნობას ალუშფოთებია მთელი ზელანდია, სადაც ამ დღეებში ერთი საგულისხმო ამბავიც მომხდარა: როგორც ჩვენმა თანამშრომელმა ზურაბ მეძველიამ ინგლისიდან გვამცნო, ზელანდიის ერთ-ერთ წყნაროკეანურ სამფლობელოში ამოფრქვეულა ვულკანი, რის შედეგადაც წარმოქმნილა მცირე კუნძული. მიხვედრილით, ზელანდიელებს ახალი კუნძულისთვის „ლომუ" დაურქმევიათ.

წელს ზღვისრეთის სიდიდით მეორე, მაგრამ მსოფლიო მასშტაბით მაინც მცირე ქვეყანამ ერთი დიდი გამარჯვება უკვე იზეიმა — მაისში იაზტსმენთა „ამერიკის თასი" მოუგო გოლიათ აშშ-ს. ახლა ჯერი ქვეყნის კერპ მორაგბეებზეა, რომლებსაც აფრონსნების მხარდასაჭერად წითელი წინდები სცმევიათ.

„ოლ ბლექსის" მწვრთნელ ლორი მეინსს უღიარებია, იოჰანესბურგული ფინალი ჩემი ცხოვრების უმთავრესი მოვლენააო. მისთვის კვერი დაუკრავს კაპიტანსა და კვაჭ შონ ფითსპატრიქს, რომელიც ხვალ შეიქნება პირველი მორაგბე, ვისაც მსოფლიო თასების ორი ფინალი ექნება ნათამაშევი — 1987 და 1995 წლებში. მართალია, ამ რვა წლის წინ ბრუერიცა და ზ. ბრუქიც იყვნენ ნაკრებში, მაგრამ მაშინ თხუთმეტეულში ვერ ხვდებოდნენ.

გუნდებმა შემადგენლობები ოთხშაბათს გამოაქვეყნეს. ტესტ-რაგბში წესად აქვთ, გამარჯვებული გუნდი, თუ არ ტრავმების გამო, სხვა მოსაზრებებით არ შეცვალონ. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე ბანკმა ის თხუთმეტეული დაასახელა, რომელიც ნახევარფინალში დააყენა.

„ოლ ბლექსში" მცირე ტრავმები ჰქონდათ კრონფელდსა და ზ.ბრუქს, რის გამოც სამშაბათს არ უვარჯიშიათ. ერთადერთი ცვლილებაა სათადარიგო ექვსეულში: მუხლმტკივანი ლარსენის მაგივრად დააწინაურეს ჯოზეფი, რომელიც თავიდან თხუთმეტეულშიც კი ჰყავდათ.

„ქურციკებს" სმოლისა და ფანდერვესტჰოიზენის მზადყოფნა ადარდებდათ, მაგრამ ორივე მოკეთებულა და ითამაშებს. მწვრთნელ ქრისთის ისევ გაურისკავს: 8 ნომრად კვლავაც ათამაშებს ხელობით მეორეხაზელ მარკ ენდრიუზს, დიდი შემკვრელები — რუდი სტრაული და ადრიან რიხტერი კი ისევ უქმად დაუტოვებია, მაგრამ თუ სტრაული სათადარიგოთა შორის მაინცაა, რიხტერს ფინალში შემცვლელად მონაწილეობის შანსიც კი არა აქვს. ქრისთის ხელები დაუბანია, აქაოდა გუნდი, რაც შემეძლო, ვავარჯიშე და ტაქტიკურადაც გავანათლე, ახლა კი თამაში თავად მორაგბეებმა უნდა მოიგონ, რადგანაც მათ მაგივრად მოედანზე ვერ გავალ და ვითამაშებო.



ფინალის ასპარეზი — იოჰანესბურგის „ელის პარკი"

მსოფლიო თასის სხვა ამბები იხილეთ მეხუთე გვერდზე

## დავით ყიზილაშვილი

დღეს კვიპროსიდან ბელგიაში უნდა გაფრინდეს, სადაც მას „ანტვერპენში" ელიან კონტრაქტზე ხელის მოსაწერად



**30 ივნისს უეფა გადაწყვეტს, რამდენი ქართული გუნდი მიიღებს ევროთასების საგზურს. მანამდე კი პირველი ჯგუფის ლიდერები ახლავე იჭერენ თადარიგს — „დინამომ" სამ ათეულამდე ფეხბურთელი მიიწვია და ახლა დიღმის ბაზაზე სამოცამდე კაცი იწვრთნება: გუშინ „დინამოს" პირველი შეკრება ჰქონდა შვებულების მერე, „სამტრედია" კი უკვე მესამე დღეა ჯიხაიშის ბაზაზე ვარჯიშობს და მეშვიდე ჩემპიონატშიც აპირებს „დინამოსთან" დაჭიდებას. არც ფოთის „კოლხეთს" სძინავს: მართალია, მათი საუკეთესო თავდამსხმელი დათო მახარაძე დღეს კვიპროსს გაემგზავრა, მაგრამ სანაცვლოდ ფოთელები „ზუგდიდიდან" ოჩამჩირელი ფორვარდის გელა გაბისონიას გადმოსაყვანად ირჯებიან. გაუჭირდება „ბათუმს", რაკიღა მათი გოლეადორი ლევან ხომერიკი თბილისს წამოსულა. ქუთაისის „ტორპედო" კი „სამგურალიდან" მიხეილ აშვეთიასა და ჩხეტიანის გადმობირებას ცდილობს. არც პირველი ჯგუფის დებიუტანტებს — სენაკის „ეგრისსა" და ბოლნისის „სიონს" დაუკრეფიათ გულხელი.**

**მეორე გვერდზე თბილისის „დინამოს" შეკრების შესახებ მოგითხრობთ. ჯერჯერობით კვლავ გუნდში არიან ქინქლაძე, ჯამარაული და ნემსაძე, რომელთაც რამდენიმე ევროპული კლუბი ეპატიჟება.**

დღეს მთავრდება შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. დასკვნით მატჩში შვეიცარიის ნაკრები გერმანიის ეროვნულ გუნდს შეხვდება. ტურნირის მესამე მონაწილემ იტალიის ნაკრებმა კი უკვე ორივე მატჩი წააგო: დაამარცხა მასპინძლები 1:0 (კაზირაგი 55) და თავად დამარცხდა გერმანელებთან 0:2 (ჰელმერი 4, მალდინი 38 ს.კ.)

## თბილისში აღარ ვითამაშებთ?

ხმები იმის შესახებ, რომ 11 ოქტომბრის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო — ბულგარეთი შესაძლოა თბილისში კი არა, ბათუმში ან სულაც გერმანიაში გაიმართოს, როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, საფუძველს მოკლებული არ არის, ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს აუცილებლად ასე მოხდება.

საქმე ის ყოფილა, რომ ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული სტადიონიდან რაღაც მიზეზით ვერ იღებს მატჩის შემოსავლის წილს, რასაც ზოგადი ფინანსური გაჭირვებაც ერთვის. ასეთ პირობებში, თუ, ვთქვათ, გერმანიის საფეხბურთო კავშირი, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კურატორი ორგანიზაციაა, გამონახავს სახსრებს საქართველოს ნაკრების მატჩისწინა შეკრების დასაფინანსებლად და მატჩის გერმანიაში გამართვის ნებასაც დართავს, ჩვენმა მხარემ შესაძლოა ამით ისარგებლოს. ცხადია, ეს სასურველი არ არის. საქართველოს ნაკრები ქართველი ქომაგების გუნდია და მან მეტოქეებს სამშობლოში უნდა უმასპინძლონ. სხვა საქმეა ბათუმი, რომელიც ეროვნული გუნდისთვის ისეთივე მშობლიური ქალაქია, როგორიც თბილისი, მაგრამ აქ სტადიონის კეთილმოწყობის პრობლემა დგას. ასე რომ, თუ ოქტომბრამდე აჭარის დედაქალაქი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით მზად იქნება დიდი მატჩის სამასპინძლოდ და ნაკრების შეკრების მოსაწყობად, მაშინ საგანგაშოც არაფერია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ფეხბურთის ფედერაცია იმედს არ იწურავს და თვლის, რომ გამოინახება გზები შეხვედრის ქვეყნის ყველაზე დიდ და მომზადებულ სარბიელზე, თბილისის ეროვნულ სტადიონზე გასამართავად.

რაც შეეხება ჩვენი კლუბების ევროტურნირებზე დაშვება-არდაშვებისა და რაოდენობის საკითხს, ამას უეფას „ტასკ ფორსის" კომიტეტი 30 ივნისის სხდომაზე გადაწყვეტს, კენჭისყრა კი 12 ივლისს მოეწყობა.

# დილმის ბაზა გაივსო

გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე მისული ნახევარ საათს მაინც მოვუნდი იქ მყოფი ხამოცამდე ფეხბურთელის მისალმება-მოკითხვას. იმ შემადგენლობის გარდა, გასულ სეზონში ჩემპიონობა რომ მოიპოვა, გუნდთან ერთად ივარჯიშებენ ზუგდიდელი მეკარე გელა ჭანტურია, რუსთაველები გელა არჩვაძე, გია კილასონია, ლევან კობიაშვილი, გიორგი გახოკიძე, რობერტო ზირაქაშვილი, თელაველები ლევან ხორხელი, ვასილ მაისურაძე, თემურ ჩლაიძე, ბათუმელი ლევან ხომერიკი, ლანჩხუთელი პაატა გამცემლიძე, მრეტებიკახა სიდაონიძე, ლევან ტარყაშვილი და გელა ქორიძე, ზოოვეტელი დავით ჭიჭველიშვილი, რუსეთიდან დაბრუნებული გიორგი ძნელაძე, აგრეთვე გრიგოლ ცაავა და თბილისის საფეხბურთო სკოლის აღზრდილები: ირაკლი გემაზაშვილი, შალვა და ირაკლი ხუჯაძეები, თორნიკე მაისურაძე, გიორგი მუშკუდიანი, მამუკა წერეთელი, ზურაბ უშვერიძე, სოსო ბარესია, რატი ალექსიძე, არჩილ სახვაძე, მიხეილ მესხი, გიორგი დავითნიძე, გიორგი შენგელია, მეკარე დათო ასლანაძე. არაა გამორიცხული, გუნდს შეემატონ კახი გოგიჩაიშვილი, ზაზა ჯანაშია, მიხეილ აშვეთია, ჯუბა ჩუხუა.

ამდენი ფეხბურთელის მიღება-დაბინავებით და სეზონისწინა ათასი სხვა საქმით გასავათებული მერაბ ჟორდანია მხოლოდ რამდენიმე წუთით მოვიხელთე:

**— პირველ რიგში, რა ბედი ეწევა „დიდ სამეულს“ — ქინქლაძეს, ჯამარაულს, ნემსაძეს? ქინქლაძეზე ჭორებიც კი დადიოდა — საცაა „ტრაბზონსფორში“ გადავაო...**

— ორ კვირაში გაირკვევა, რომელ გუნდებში წავლენ. ქინქლაძეზე მოთხოვნებია ინგლისიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან და იტალიიდან, „ტრაბზონსფორი“ პირველად მესმის. ჯამარაულსა და ნემსაძეს კი გერმანული კლუბები ეპატიჟებიან, მათს ვინაობას ჯერ ვერ გეტყვით. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ყველა გუნდი თავისი ქვეყნის უმაღლესი დივიზიონიდანაა.

**— სამოცამდე ფეხბურთელი არასოდეს ყოფილა „დინამოში“...**

— ჩვენ ხომ ამ ბიჭებში „დინამო-2“-ის წევრებსაც ვთვლით. ფედერაციაში უკვე მქონდა ოფიციალური საუბარი ამის თაობაზე და ალბათ „დინამო-2“ ახალ სეზონს მეორე ჯგუფში დაიწყებს. ვინ რომელ გუნდში ითამაშებს, დავით ყიფიანი გადაწყვეტს, მას ამ საქმეში მიეხმარებიან ნოდარ აკობია, ბორის სიჭინავა, ზურაბ უშვერიძე, ნესტორ მუმლაძე და გია გეგუჩაძე. ყიფიანის დაჟინებული მოთხოვნით თითქმის გადაწყვეტილია კახი კაჭარავას „დინამოში“ დატოვების საკითხი.

**— შევიტყვე, უელსის მატჩის მერე „დინამოს“ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელით დაინტერესებულან ინგლისელი სელექციონერები...**


კახი კაჭარავა „დინამოში“ ბრუნდება

— უშუალოდ „დინამოში“ ქინქლაძის გარდა მოვიდა ფაქსი ბერაძის და ჩიხრაძის თაობაზე. ინგლისელი სელექციონერები გვთხოვენ ჩამოსვლისა და ამ ფეხბურთლებთან კონტაქტის ნებას.

**— ზოგ უცხოურ გაზეთში დაიწერა, ლობჟანიძე გერმანულ „ვოლფსბურგს“ მიჰყავსო...**

— ჩემამდე არაფერი მოსულა, ეგ ცნობა მეც გაზეთებიდან გავიგე...

**— „დინამო“ შეკრებას ტრადიციულად უცხოეთში გაივლის?**

— 26 ივნისიდან 14 ივლისამდე დილმის ბაზაზე მოვემზადებით, 15 ივლისიდან 30-მდე კი თურქეთში. იქვე ვითამაშებთ საკონტროლო მატჩებს. ერთი ნაღდად „ტრაბზონსფორთან“ გვექნება...

**— მედიამ ერთი ამბავი ატეხა, „დინამო“ სამშენებლო მასალების ქარხანას აშენებსო.**

— გერმანელებმა მართლაც შემოგვთავაზეს ამგვარი რამ. ჩვენ მათივე წინადადებით ამიერკავკასიაში პენოპლასტების ქარხნის დისტრიბუტორები ვიქნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნებართვის გარეშე მსგავსი ქარხნის არათუ აშენების, არამედ ფირმასთან კონტაქტის უფლებაც კი არავის ექნება.

მამუკა კვარაცხელია

მეც გაზეთებიდან გავიგე...

# მე ვხედავ მზეს



„დინამოს“ ცხრამეტი წლის ნახევარმცველმა გიორგი კიკნაძემ სამოცამდე მატჩი ისე ითამაშა და თხუთმეტამდე გოლი ისე გაიტანა, ვერცერთი თვალიდან სანახევროდაც ვერ ხედავდა. ცნობილმა ქართველმა ოფთალმოლოგმა გივი თოფურიამ მოსკოვში, ფიოდოროვის კლინიკაში რომ მიიყვანა, მსოფლიოში სახელგანთქმული თვალის ექიმს ლამის გული შემოეყარა, მე ინვალიდი მგონია და ეს თურმე ფეხბურთს თამაშობსო. ოპერაცია თავად ფიოდოროვს გაუკეთებია, თანაც ზედიზედ ორჯერ, რაკილა კიკნაძეს თბილისში დაბრუნება და გუნდთან ერთად ვარჯიშის დაწყება ეჩქარებოდა. ორივე ოპერაციას სულ 20 წუთი დასჭირვებია და კიკნაძეც თავისი ფეხით წამოსულა პალატაში.

— როცა მეორე დღესვე თვალებზე სახვევი შემხსნეს, ლამის იყო ვიყვირე, იმდენი რამე დავინახე უცებ. ახლაც სულ თვალებმოჭუტული დავდივარ — ამდენი რამის უცებ შემჩნევამ, მეშინია, გონება არ დამიბნიოს. ფიოდოროვმა მითხრა, ერთი თვეც და ორივე თვალში ასპროცენტიანი მხედველობა გექნებაო. ადრე თანაგუნდელებს მხოლოდ შეძახილის და ფორმის ფერით ვარჩევდი, ახლა კი თითქოს სიმაღლეც მომემატა, იმდენ რამეს ვხედავ...

# „ჯიკო“ გვაიმედებს: ავსტრიაში მაინც გვაფასებენ!

ასაკის კვალობაზე ცხრამეტი წლის მამუკა ჯიქიამ საკმაოდ ბევრი მატჩი ითამაშა საქართველოს ჩემპიონატში და, მის ამპლუას თუ გავითვალისწინებთ, გოლებიც საკმაოდ შეაგდო (70 მატჩი და 14 გოლი). მურთაზ ხურცილავამ თექვსმეტი წლისა წამოიყვანა ზუგდიდიდან და მყის „შევარდენის“ ძირითადში მიუჩინა ადგილი. ჯიქიას მინდვრის კარგი ხედვა, საგოლე პასის ალღო და სახიფათო დარტყმებიც გამოარჩევდა. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებმაც დაადგეს თვალი და აკი ათამაშეს კიდეც მოლდოვასთან. მერე კი ნიჭიერი ნახევარმცველი ავსტრიაში აღმოჩნდა და ერთი ხანობა მისი კვალიც დაგვეკარგა. ავსტრიის ჩემპიონატში მისი „ლინცერ ASK“ VI ადგილზე გავიდა და ინტერტოტოს თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. ქართველი ლეგიონერები ევროპული ქვეყნების უმაღლეს დივიზიონებში თითებზე ჩამოითვლებიან, ასე რომ, ჯიქიას ავსტრიაში თამაში არა მხოლოდ სასიამოვნო, არამედ სახეიროცაა ჩვენთვის. თანაც, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ „დინამოს“ გამანადგურებელი მარცხი „ტიროლთან“ ახლაც ყელში ძვალივით გვაქვს გაჩხერილი.

**Linzer ASK** 1908 წლის 25 ივლისს დაარსებულა. 1965 წელს ავსტრიის ჩემპიონიც გამხდარა და თასიც აუღია. თამაშებს LASK-შტადიონზე (25 000) ატარებს.



მამუკა ჯიქია

— შარშან, წლის ბოლოს ჩავედი ავსტრიაში, მარჯვენა მუხლი ოდნავ მაწუხებდა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ, პირველ წრეში ლიდერ „კაზინოს“ 2:0 მოვუგეთ და 2 ქულითღა ჩამოვრჩებოდით. თებერვალში ანტალიაში „დინამოც“ დავამარცხეთ 3:1. თანდათან მუხლი საშინლად ამტკივდა, რენტგენზე მენისკი არ აღმოჩნდა, მაგრამ დავინახეთ, რომ მუხლის სახსარს მოხრაში ძვლის თუ მარილის პატარა წანაზარდი უშლიდა ხელს. არადა, 10 დღეში ჩემპიონატის მეორე ეტაპი იწყებოდა. ლინცშივე გამიკეთეს ოპერაცია, ერთი თვე ვიწექი, მერე ყავარჯნებით დავდიოდი, ერთი თვეც რეაბილიტაციას მოვუნდი და ფორმაში მხოლოდ მაისისთვის ჩავდექი. ხუთი მატჩიღა იყო დარჩენილი და ხუთივე ვითამაშე. გრაცში ადგილობრივ „შტურმთან“ 1:0-ზე ჩვენი ნახევარმცველის ვაისენბერგერის პასი მივიღე და მეკარეს თავზე გადავუგდე — 2:0. მალე მესამე გოლიც გავიტანეთ, მაგრამ ჩვენმა მეკარემ და დაცვამ აურიეს და 3:3 დამთავრდა ის თამაში, არადა, მესამე ადგილისთვის ვიბრძოდით...

**— „კაზინოს“ ორი ქულით ჩამოვრჩებოდითო, თქვი. მერა რა მოხდა?**

— მერე ის იყო, რომ ჩვენი პრეზიდენტი იონკბაუერი გაკოტრდა და კარგა ხანს უხელფასოდაც დავრჩით. ბუნებრივია, ამან შედეგზეც იმოქმედა და საბოლოოდ საპრიზო სამეულშიც კი ვერ მოვხვდით. ავსტრიის ნაკრების ორმა წევრმა, რამუშმა და საპიცამ სწორედ ამის გამო დატოვეს კლუბი. საპიცა, რაკილა კლუბში ყველაზე მეტი — 13 გოლი ჰქონდა შეგდებული, „კაზინომ“ წაიყვანა...

**— ავსტრიაში გუნდების შუა სეზონში გაკოტრება ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა — კორღალიძეს „ვინერ შპორტკლუბსაც“ ხომ იგივე დაემართა. ახლა როგორა გაქვთ საქმე?**

— ამ თვის ბოლოს გუნდის მენეჯერთა საბჭო იკრიბება და ახალ პრეზიდენტსაც აირჩევენ, გამოსავალიც მაშინ გამოჩნდება. გავიგე, ლინცის მეორე კლუბის „კელის“ შემოერთება განუზრახავთ, ამ ორი გუნდისგან ერთი ძლიერის შეკვრას აპირებენ. ინტერტოტოს თასზე გასვლამაც თავისი ქნა და ამიტომაც დაფაცურდნენ. თვის ბოლომდე შვებულებაში ვართ, მერე ისევ დაგვიძახებენ...

**— შენს გარდა უცხოელი თუ იყო?**

— ბელარუსის ნაკრების წევრები იგორ გურინოვიჩი და ალექსანდრე მეტლიცკი. პირველი წინ თამაშობდა, მეორე ნახევარდაცვაში. ნახევარმცველია გუნდის კაპიტანი, ხორვატი ტარტალიაც.

**— შენ რა ამპლუაში გათამაშებდნენ?**

— მაისურზე ხუთი ნომერი კი მეწერა, მაგრამ ჩემს ადგილზე, გამთამაშებლად გამოვყავდით. ავსტრიაში 3-5-2 ტაქტიკური სქემით თამაშობენ, ფაქტიურად, სამი ცენტრალური მცველი გამოდის, რადგან გარე ნახევარმცველები მთელ ფლანგს აკონტროლებენ — დაცვიდან — თავდასხმამდე. ფიზიკურად საუცხოოდ თუ არა ხარ მზად, უმალ სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდები. მე ჩემს სათამაშო წონას ხუთი კილოგრამი მიკლია, მაგრამ მივეჩვიე ძლიერ დატვირთვებს და უკვე აღარ მიჭირს. აშკარად ვგრძნობ, რომ ჯანი მომემატა, რომ არა ტრავმა, ნაღდად ბევრ გოლს შევაგდებდი. რაც უნდა იყოს, ავსტრიელი მცველები ტექნიკაში მოისუსტებენ, ჰოდა, თუ ფიზიკურად არ დაუთმობ, აჯობებ კიდეც.

**— ჩვენს გამამწარებლებს, ტიროლელებს როგორ ეთამაშეთ?**

— იმ დროს ტრავმა მქონდა, შინ 2:0 მოვიგეთ, ინსბრუკში 1:2 დავმარცხდით. სანე დაშავებული იყო და არ უთამაშია, თუმცა, საერთოდ, ჩემპიონატში ოცამდე ბურთი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

**— ჩვენზე ალბათ იმ ავადსახსენებელი მატჩის მიხედვით მსჯელობენ...**

— არავითარ შემთხვევაში! ჩვენ ახლა მთელი ავსტრია უელსის აქ და იქ დამარცხებით გვაფასებს და საკმაოდ მაღალი აზრისაც არიან ქართულ ფეხბურთზე. უელსელებთან 5:0-ს, ისევე, როგორც გერმანიასთან ჩვენს მატჩს, მთელმა ავსტრიამ უყურა. აი, გერმანელებთან კი, ჰიმნების შესრულებისთანავე შევატყვე, რომ წაგებულები ვიყავით.

**— რატომ არ ჩამოხვედი ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ შეკრებაზე მაინც?**

— ნაკრებში თამაში ჩემი ოცნებაა და ერთი სული მქონდა, როდის გამომიძახებდნენ. გერმანიასთან ფაქსი კი მივიღე, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ყავარჯნებით დავდიოდი. უელსთან თამაშის წინ კი ამაოდ ველოდი ფაქსს, გუნდის ხელმძღვანელობა გაფრთხილებულიც კი მყავდა, უნდა წავიდე-მეთქი. გამოძახება არ მოსულა, ისე კი, ვინ გამომიშვებდა.

**— იმედია, თბილისში დროს უქმად არ კარგავ.**

— რა თქმა უნდა. ავსტრიაში გატარებულმა დრომ პასუხისმგებლობის გრძნობა გამიორმაგა და ახლა ყოველდღე ჩემით ვვარჯიშობ. თანაც, ამ შვებულების პერიოდში წიგნებსაც ჩავუჯექი: უნივერსიტეტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვსწავლობ, მესამე კურსზე ვარ და ახლა გამოცდებს ვაბარებ.

**— გერმანული თუ ისწავლე?**

— თავიდან მიჭირდა, გურინოვიჩი და მეტლიცკი მეხმარებოდნენ, ახლა გავიწაფე და ინტერვიუებსაც გერმანულად ვიძლევი.

**— სხვა კლუბებიდან თუ გაქვს მიწვევა?**

— უმაღლესი და მეორე დივიზიონის რამდენიმე კლუბმა შემომთავაზა მათთან გადასვლა, მაგრამ ჯერ ჩვენს მენეჯერთა საბჭოს გადაწყვეტილებებს ველოდები. თუ გადავალ, მხოლოდ უმაღლეს დივიზიონში...

**— ინსბრუკში „ტიროლის“ გულშემატკივართა ძალა საკუთარ ზურგზე ვიწვნიე, ისე გაჰყვიროდნენ, თანაც ისე ორგანიზებულად უჭერდნენ მხარს „ტიროლს“, ვგონებ, „დინამოც“ შეაშინეს. ლინცში როგორი ქომაგები გყავთ?**

— ჩვენც ძალზე ერთგული და, როგორც თქვი, ორგანიზებული გულშემატკივრები გვყავს. ათი ათასი კაცი მუდმივად ზის ტრიბუნაზე. მე „ჯიკო“ შემარქვეს, გვარის მიხედვით, ყველას ასე ნათლავენ.

**— მწვრთნელთან დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს...**

— ამ მხრივ პრობლემა არ მქონია, მწვრთნელ სკოჩიკთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა მქონდა. ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე იგი გუნდიდან გაუშვეს, თუმცა, კონტრაქტის თანახმად, მაინც ბოლომდე წვრთნიდა გუნდს...

**— შენ თვის ბოლოს მიდიხარ ავსტრიაში, 24 ივნისს კი შენი კლუბი ინტერტოტოს თასზე პირველ მატჩს თამაშობს...**

— ინტერტოტოს თასი ევროპაში, განსაკუთრებით კი ავსტრიაში, ვერ არის პოპულარული, თან ახლა კლუბს ფინანსურადაც ძალიან უჭირს, არც კი ვიცი, როგორ უნდა ითამაშონ. ჩემი გვარი მონაწილეთა სიაში მაინც იქნება, თვის ბოლოს ჩავალ და დარჩენილ თამაშებში მეც მივიღებ მონაწილეობას.

მამუკა კვარაცხელია

## საქართველოს ჩემპიონატი

### II ჯგუფი, აღმოსავლეთი

29-ე ტური 15 ივნისი: ქიზიყი — ალაზანი 1:3, მერანი ბაჩო — ზოოვეტი 2:2, ჭაბუკიანი — მერანი 91 0:4, აზოტი — ასკ 3:1, შირაქი — მრეტები 2:1, გვარდია — სიონი 2:3, ავაზა — მესხეთი 0:0, თორი — არაგვი 5:3

30-ე ტური 19 ივნისი: მესხეთი — გვარდია 3:0 (გამოუცხადებლობა), ზოოვეტი — შირაქი 8:3, ალაზანი — აზოტი 2:1, ასკ — თორი 3:1, არაგვი — ჭაბუკიანი 4:2, მერანი 91 — ავაზა 4:1, სიონი — მერანი ბაჩო 4:2, მრეტები — ქიზიყი 2:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 30 | 23 | 4 | 3 | 85-25 | 73 |
| მერანი-91 | 30 | 22 | 5 | 3 | 64-19 | 71 |
| მესხეთი | 30 | 22 | 5 | 3 | 72-32 | 71 |
| ზოოვეტი | 30 | 20 | 5 | 5 | 78-37 | 65 |
| მერანი-ბაჩო | 30 | 13 | 7 | 10 | 62-43 | 46 |
| შირაქი | 30 | 12 | 3 | 15 | 39-49 | 39 |
| ასკ | 30 | 11 | 5 | 14 | 41-49 | 38 |
| აზოტი | 30 | 10 | 8 | 12 | 42-43 | 38 |
| ქიზიყი | 30 | 8 | 8 | 14 | 39-57 | 32 |
| თორი | 30 | 9 | 4 | 17 | 37-70 | 31 |
| ალაზანი | 30 | 9 | 4 | 17 | 35-60 | 31 |
| მრეტები | 30 | 8 | 7 | 15 | 36-56 | 31 |
| გვარდია | 30 | 8 | 7 | 15 | 39-48 | 31 |
| არაგვი | 30 | 7 | 8 | 15 | 38-60 | 29 |
| ავაზა | 30 | 6 | 8 | 16 | 35-64 | 26 |
| ჭაბუკიანი | 30 | 7 | 2 | 21 | 22-67 | 23 |

### II ჯგუფი. დასავლეთი

26-ე ტური 14 ივნისი: მეშახტე — უნივერსიტეტი 4:0, შუქურა — სულორი 3:0 (გამოუცხადებლობა), სამეგრელო — საჩინო 3:0 (გამოუცხადებლობა) კახაბერი — ბახმარო 4:2, ეგრისი — იმერეთი 1:0, მალაროელი — სქური 3:0 (გამოუცხადებლობა)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგრისი | 24 | 20 | 1 | 3 | 53-16 | 61 |
| კახაბერი | 24 | 18 | 2 | 4 | 48-25 | 56 |
| მეშახტე | 24 | 18 | 1 | 5 | 73-40 | 55 |
| ბახმარო | 24 | 12 | 2 | 10 | 43-32 | 38 |
| მერცხალი | 24 | 11 | 3 | 10 | 34-36 | 36 |
| მალაროელი | 24 | 11 | 3 | 10 | 43-34 | 36 |
| სამეგრელო | 24 | 11 | 0 | 13 | 29-32 | 33 |
| უნივერსიტ. | 24 | 10 | 0 | 14 | 47-56 | 30 |
| სქური | 24 | 9 | 2 | 13 | 38-46 | 29 |
| სულორი | 24 | 8 | 3 | 13 | 44-53 | 27 |
| იმერეთი | 24 | 7 | 3 | 14 | 26-41 | 24 |
| შუქურა | 24 | 6 | 1 | 17 | 33-57 | 19 |
| საჩინო | 24 | 4 | 1 | 19 | 23-72 | 13 |

**ახალციხის „მესხეთი“ და სენაკის „ეგრისი“ პირველ ჯგუფში გადავიდნენ**

# ჩვენიც ვნახოთ და სხვისიც...

## საქართველოს ჩემპიონატის სათვალავი

მეექვსე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში დაგეგმილი 240 მატჩის ნაცვლად გაიმართა 227 (11 მატჩი არ შედგა გუნდების გამოუცხადებლობის გამო, ორის შედეგიც გაუქმდა). მასპინძლებმა მოიგეს 134 (59%), ფრედ დამთავრდა 42 (18,5%), სტუმრებმა გაიმარჯვეს 51 (22,5%) შეხვედრაში.

ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო **390** ფეხბურთელმა, მათ შორის ცხრამ (ქველაძე, მაჭავარიანი, გვარამაძე, კანტიძე, ყულეჯიშვილი, დ. კაკუბავა, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, თოლორდავა) პირველი ჯგუფის ორ-ორ გუნდში ისპარეზა. ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე იყო ზუგდიდელი ზაზა გვიჩია (დაბადებული **07.03.80**) — სადებიუტო მატჩში იგი **15** წლის და ორი თვის იყო. ეროვნულ ჩემპიონატებში გვიჩიაზე უმცროსი მხოლოდ ორი ფეხბურთელი იყო: კახა ალადაშვილი („მეტალურგი“) — **14** წლის და **11** თვის და კლიმენტი წიტაიშვილი („ზუგდიდი“) — **13** წლის და **11** თვის. ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი ტორპედოელი მერაბ მეგრელაძეა (დაბადებული **26.01.56**). ყველაზე მეტი ფეხბურთელი ათამაშა თბილისის „დინამომ“ — **36**, ყველაზე სტაბილური შემადგენლობა კი „სამტრედიას“ ჰყავდა — **20** მოთამაშე.

ყველა, 30 მატჩი არცერთ ფეხბურთელს არ უთამაშია. თუმცა ამის შესაძლებლობა ჰქონდა სამს, მაგრამ მათ მხოლოდ მეტოქეთა გამოუცხადებლობამ არ მისცა საშუალება, ყველა მატჩი შეუცვლელად ეთამაშათ — ნიკოლოზ ტოგონიძე („ივერია“) — 29 მატჩი (ერთში არ გამოცხადდნენ), რამაზ სოლოლაშვილი („დილა“) — 28 (ორში არ გამოცხადდნენ) და გიორგი დარასელია („კოლხეთი 1913“) — 26 (ოთხში არ გამოცხადდნენ).

ექვსივე ჩემპიონატში ყველაზე მეტი შეხვედრა ჩაატარეს: ჯიმშერ მარეხაშვილმა — **180**, მამუკა ხუნდაძემ — **173**, გივი ქობელაშვილმა — **170**, როინ მარლიშვილმა — **169**, გიორგი დარასელიამ — **165**.

227 მატჩში გავიდა 774 გოლი, ეს, საშუალოდ, ერთ შეხვედრაში, შეადგენს 3,41 გოლს. უფრო შედეგიანი იყო მეოთხე (3,48) და მეხუთე (3,70) ჩემპიონატები. წინა სეზონების მაჩვენებლები ასეთია:

| | მატჩი | გოლი | საშუალოდ |
|---|---|---|---|
| 1990 | 295 | 849 | 2,88 |
| 1991 | 187 | 568 | 3,04 |
| 1991-92 | 371 | 1179 | 3,18 |
| 1992-93 | 266 | 925 | 3,48 |
| 1993-94 | 309 | 1143 | 3,70 |

სულ ექვს ჩემპიონატში გამართულ **1655** შეხვედრაში გატანილია **5438** ბურთი. საიუბილეო გოლების ავტორები არიან: მე-**1000** — ელდარ გვასალია („კოლხეთი“) — „კოლხეთი“ — „შევარდენი **1906**“ **3:0** (**20.04.91**), **2000** — მიხეილ ჯიშკარიანი („ცხუმი“) — „მზიური“ — „ცხუმი“ **7:2** (**26.11.91**), **3000** — გელა გაბისონია („ოდიში“) — „ოდიში“ — „ცხუმი“ **3:0** (**2.12.92**), **4000** — თამაზ ციცქიშვილი („დილა“) — „მეტალურგი“ — „დილა“ **1:2** (**16.12.93**), **5000** — ირაკლი კალუჟა („კახეთი“) — „დურუჯი“ — „კახეთი“ **2:2** (**01.12.94**). ზედიზედ სამი წელია, საიუბილეო გოლები დეკემბერში გადის.

ჩემპიონატის 774 გოლი 182 მოთამაშეზე მოდის. მათ შორის ერთი ავტოგოლია. ოთხმა ფეხბურთელმა პირველი ჯგუფის ორ-ორ გუნდში გამოიჩინა თავი.

**ბომბარდირთა საუკეთესო ათეული:**

გიორგი დარასელია („კოლხეთი 1913“) — 26 (26 მატჩი; საშუალოდ — 1,0) — 2 პენალტით
მამუკა ხუნდაძე („ტორპედო“) — 25 (29; 0,86) — 4
ალექსანდრე იაშვილი („დინამო“)— 24 (24; 1,0) — 1
გელა გაბისონია („ზუგდიდი“) — 23 (22; 1,05) — 3
პაატა მაჭუტაძე („ბათუმი“) — 19 (25; 0,76) — 5
გია ჯიშკარიანი („სამტრედია“) — 17 (27; 0,63)
ზვიად ენდელაძე („მარგვეთი“) — 17 (29; 0,59) — 4
გოჩა ჯამარაული („დინამო“) — 16 (20; 0,80)
ზაზა ჯანაშია („სამტრედია“) — 15 (19; 0,79)
ვარლამ კილასონია („მეტალურგი“) — 15 (22; 0,67)

**ექვსივე ჩემპიონატის ბომბარდირები**

ოთარ კორღალიძე — 103 (121; 0,85)
მერაბ მეგრელაძე — 91 (120; 0,76)
ივანე ჯუღელი — 87 (150; 0,58)
მამუკა ხუნდაძე — 83 (173; 0,48)
გივი ქობელაშვილი — 82 (170; 0,49)
მიხეილ ყაველაშვილი — 80 (130; 0,69)
გიორგი დარასელია — 75 (165; 0,46)
მიხეილ ჯიშკარიანი — 74 (110; 0,67)
გიორგი კილასონია — 72 (160; 0,45)
გელა გაბისონია — 70 (101; 0,69)

ბოლო ჩემპიონატში 19-მა ფეხბურთელმა შეასრულა 29 „ჰეთ-თრიქი“:

| | 5 | 4 | 3 |
|---|---|---|---|
| გიორგი დარასელია, კოლხეთი 1913 | 1 | 1 | 1 |
| ვარლამ კილასონია, მეტალურგი | - | - | 3 |
| გიორგი ქინქლაძე, დინამო | - | 1 | 1 |
| არჩილ არველაძე, დინამო | - | - | 2 |
| შოთა არველაძე, დინამო | - | - | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი, დინამო | - | - | 2 |
| ზაზა ჯანაშია, სამტრედია | - | - | 2 |
| გელა გაბისონია, ზუგდიდი | - | - | 2 |
| პაატა მაჭუტაძე, ბათუმი | - | 1 | - |
| ზვიად ენდელაძე, მარგვეთი | - | 1 | - |

ნუგზარ მიქაბერიძემ („კოლხეთი 1913“), დავით ჯანაშიამ („სამტრედია“), ბაჩვა ამბიძემ, გოჩა ყულეჯიშვილმა (ორივე „ბათუმი“), ბადრი დარასელიამ („ზუგდიდი“), მამუკა ხუნდაძემ („ტორპედო“), გივი ქობელაშვილმა („ივერია“), გოჩა ჭვრიტიძემ („კახეთი“), მიხეილ აშვეთიამ („სამგურალი“) — 3-3 გოლი თითოჯერ გაიტანეს.

დიდი ანგარიშით დასრულდა **65** შეხვედრა. პირველი ჯგუფის ყველა გუნდმა შეძლო გაემარჯვა სამი და მეტი ბურთის ხვაობით, ხოლო წაგებით მხოლოდ „დინამოს“„ბათუმს“ და „ტორპედოს“ არ წაუგიათ. **15** მატჩი მოიგო ასეთი შედეგით „დინამომ“, **10** — „სამტრედიამ“, **9** — „კოლხეთი **1913**“-მა, **8** — „ბათუმმა“. ყველაზე ხშირად აგებდნენ: „საპოვნელა“ — **10**-ჯერ, „გურია“ — **9**-ჯერ, „დურუჯი“, „სამგურალი“ — **7-7**-ჯერ, „კახეთი“ — **6**-ჯერ.

მხოლოდ ორ-ორ მატჩში ვერ შეძლეს მეტოქეთა კარის აღება „დინამომ“, „სამტრედიამ“ და „ტორპედომ“, სამში — „კოლხეთი 1913“-მა, „დილამ“ კი 17 შეხვედრა დაასრულა უგოლოდ, „დურუჯმა“ — 15 (მათ შორის ზედიზედ 8), „გურიამ“ — 13, „კახეთმა“ და „მარგვეთმა“ — 12-12. 17 მატჩში შეინახეს „მშრალად“ საკუთარი კარი სამტრედიელებმა. ამ მონაცემით მომდევნონი არიან: „კოლხეთი 1913“, „დილა“ — 13-13 მატჩი, „დინამო“, „ბათუმი“ 11-11, „მეტალურგი“, „მარგვეთი“ — 10-10. მხოლოდ ორი ასეთი მატჩია „გურიას“ანგარიშზე, სამი — „სამგურალისა“, ოთხ-ოთხი — „დურუჯისა“ და „საპოვნელასი“.

ჩემპიონატში ისპარეზა **41** მეკარემ. თითო მეკარით ითამაშეს „დილამ“ (სოლოლაშვილი) და „ივერიამ“ (ტოგონიძე), ოთხ-ოთხით — „მეტალურგმა“, „კახეთმა“ და „შევარდენი **1906**“-მა („შევარდენის“ მეოთხე მეკარე მინდვრის მოთამაშე მესტუმრე იყო). დანარჩენ გუნდებში ორი ან სამი მეკარე ჰყავდათ. სამმა გოლკიპერმა — თევზაძემ („საპოვნელა“), ჩლაიძემ („კახეთი“) და გოგალაძემ („ივერია“; ეს ამ სეზონში თავის ძირითად ამპლუაში არც გამოსულა) თითო მატჩში წინაც ითამაშეს. მეკარეებმა ბურთის გატანითაც გამოიჩინეს თავი — ასლან ბალაძემ („ბათუმი“), ნიკოლოზ ტოგონიძემ („ივერია“), გელა კიკალეიშვილმა („სამგურალი“) თითო პენალტი გამოიყენეს, ყვარლელთა კარის დარაჯმა თამაზ პაქსაშვილმა კი ერთ მატჩში ორი პენალტი გაუტანა თავის კოლეგას.

41-დან 14 მეკარემ თამაშების 50 პროცენტი და მეტი ჩაატარა. მათი მაჩვენებლები ასეთია: (I — საშუალოდ, II — მატჩების რაოდენობა, III — გაშვებული გოლები, IV უგოლო მატჩები)

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| გრიგოლ ჭანტურია, სამტრედია | 0,68 | 28 | 19 | 17 |
| მამუკა გვასალია, კოლხეთი 1913 | 0,85 | 20 | 17 | 12 |
| ირაკლი ზოიძე, დინამო | 0,87 | 23 | 20 | 11 |
| ასლან ბალაძე, ბათუმი | 1,08 | 25 | 27 | 11 |
| რამაზ სოლოლაშვილი, დილა | 1,25 | 28 | 35 | 13 |
| ნიკოლოზ ხელაძე, ტორპედო | 1,28 | 21 | 27 | 7 |
| დავით გვარამაძე, კახეთი, დინამო | 1,33 | 18 | 24 | 6 |
| გელა ჭანტურია, ზუგდიდი | 1,63 | 24 | 39 | 6 |
| მამუკა ნიქაბერიძე, მარგვეთი | 1,72 | 18 | 31 | 7 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე, ივერია | 2,00 | 29 | 58 | 7 |
| მამუკა თევზაძე, საპოვნელა | 2,27 | 22 | 50 | 4 |
| გელა კიკალეიშვილი, სამგურალი | 2,33 | 15 | 35 | 3 |
| გიორგი ალავიძე, დურუჯი | 2,37 | 19 | 45 | 1 |
| ალექსანდრე კუნჭულია, გურია | 2,40 | 15 | 36 | 1 |

პირველობაზე დაფიქსირებული 26 სხვადასხვა ანგარიშიდან ყველაზე პოპულარული იყო 1:0. ამ შედეგით დამთავრდა 37 შეხვედრა. 22 მატჩში აღინიშნა 2:1, 20-ში — 0:0, 18-ში — 3:0, 17-ში — 2:0. 94 პენალტიდან გავიდა 70. ყველაზე მეტჯერ 11-მეტრიანი დაარტყეს: „ბათუმმა“ — 11, „ივერიამ“ — 10, „ტორპედომ“ და „შევარდენი 1906“-მა — 8-8, მხოლოდ ორ-ორი — „დილამ“ და „გურიამ“ (ვერცერთი ვერ გამოიყენა). ყველაზე ხშირად პენალტით დაისაჯნენ: „ივერია“ — 10-ჯერ, „ბათუმი“, „მეტალურგი“ — 9-9-ჯერ, „ტორპედო“, „საპოვნელა“ — 8-8-ჯერ. პენალტების შესრულების ასპროცენტიანი მაჩვენებლები აქვთ: „ტორპედოს“ (8-დან 8), „დურუჯს“ (7-დან 7), „სამტრედიას“ (5-დან 5), „დილას“ (2-დან 2). ოთხი პენალტი ვერ გამოიყენა „ბათუმმა“, 3-3 „დინამომ“ და „შევარდენი 1906“-მა. მხოლოდ „სამტრედიის“ და „შევარდენი 1906“-ის კარებში დანიშნული ყველა თერთმეტმეტრიანი გავიდა. 6 პენალტი ვერ გაუტანეს „ივერიას“, 3 — „ბათუმს“. ფეხბურთელებს შორის ასპროცენტიანი მაჩვენებლები აქვთ: მარლიშვილს („ივერია“) — 8; გოგიჩაიშვილს („სამტრედია“) — 5, ხუნდაძეს („ტორპედო“), ენდელაძეს („მარგვეთი“), თოლორდავას (დურუჯი) — 4-4. 9-დან 4 პენალტი ვერ გამოიყენა ბათუმელმა მაჭუტაძემ. სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, თუ როგორ გამოიჩინეს თავი მეკარეებმა პენალტების მოგერიებისას, რადგანაც მატჩების ოქმში ეს არ ფიქსირდება.



ოთარ კორღალიძე



ნიკა ჩხეიძე

ჩემპიონატში მოთამაშეები მოედნიდან გააძევეს **12**-ჯერ, ხოლო გააფრთხილეს **222**-ჯერ. აქ გათვალისწინებული არაა თამაშის შემდეგ აღნუსხული დარღვევები.

| | | |
|---|---|---|
| მარგვეთი | 0 გაძევება | 7 გაფრთხილება |
| დურუჯი | 0 | 9 |
| დინამო | 0 | 13 |
| კოლხეთი 1913 | 0 | 15 |
| დილა | 0 | 15 |
| ბათუმი | 0 | 16 |
| მეტალურგი | 1 | 10 |
| შევარდენი 1906 | 1 | 12 |
| საპოვნელა | 1 | 13 |
| გურია | 1 | 15 |
| ივერია | 1 | 15 |
| კახეთი | 1 | 18 |
| ზუგდიდი | 1 | 18 |
| სამტრედია | 1 | 22 |
| ტორპედო | 2 | 10 |
| სამგურალი | 2 | 14 |

ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები იყვნენ: ზაზა ჯანაშია (სამტრედია), ვარლამ ფესტვენიძე („სამგურალი“) — **1-1** გაძევება, **4-4** გაფრთხილება, გიორგი სუხიაშვილი („ტორპედო“) — **1** გაძევება, **3** გაფრთხილება, ალექსანდრე შეყრილაძე („ტორპედო“), გივი ქობელაშვილი („ივერია“), ვეფხია ხვარეშია („საპოვნელა“) — **1-1** გაძევება, **2**-— გაფრთხილება, დავით ცომაია („სამტრედია“) გიორგი მჭედლიშვილი (შევარდენი **1906**), როინ ნარიაშვილი („გურია“) — **4-4** გაფრთხილება.

ჩემპიონატის მატჩებს მოემსახურა 14 ქალაქის წარმომადგენელი 26 არბიტრი: თბილისი — 9 არბიტრი, სამტრედია — 3, ქუთაისი, ლანჩხუთი — 2-2, კასპი, ხონი, სურამი, ზუგდიდი, დუშეთი, გორი, ასპინძა, ქარელი, სოხუმი, ტყიბული — 1-1. 10 და მეტი მატჩი იმსაჯეს:

ელგუჯა სილაგავა (თბილისი) — 18
ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი) — 17
თამაზ ლაცაბიძე (სურამი) — 16
მალხაზ კობიაშვილი (დუშეთი) — 16
თემურ მაჭარაძე (ხონი) — 16
სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი) — 15
ვლადიმერ ეჯიბია (თბილისი) — 13
გიორგი ხეჩუაშვილი (კასპი) — 12
მერაბ მალაღურაძე (თბილისი) — 10
ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი) — 10
შოთა ხანიაშვილი (თბილისი) — 10
მურთაზ მირცხულავა (ლანჩხუთი) — 10

ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში აღინუსხება ეროვნული ჩემპიონატების სარეკორდო მაჩვენებლები. ჩვენც შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ამგვარ მონაცემთა აღნუსხვას. საქართველოში უკვე ექვსი ჩემპიონატი ჩატარდა და ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ევროპის სხვა ქვეყნების ჩემპიონატებს ჩვენსას შევადარებთ:

### ყველაზე მეტი გოლი ერთ ჩემპიონატში

ევროპული რეკორდი დამყარდა უნგრეთში 1917-18 სეზონში, ბუდაპეშტის მტკ-მ 147 გოლი გაიტანა 22 მატჩში. პირველ სამეულში არიან აგრეთვე ალბანეთის „პარტიზანი“ — 136 გოლი (1951; 26 მატჩი) და ავსტრიის „რაპიდი“ — 133 (1950-51; 24). ჩვენი რეკორდსმენი თბილისის „დინამო“ მე-6-7 ადგილებს იყოფს რუმინეთის „დინამოსთან“ (ბუქარესტი). თბილისელებმა 1993-94 სეზონის 38 მატჩში 130 გოლი გაიტანეს.

### ერთი მატჩის ბომბარდირები

პირველობას 11-11 გატანილი გოლით იყოფენ ესტონელი ანატოლი ნოვოჟილოვი („ტევალტე“, 1993-94) და ჩრდილოირლანდიელი პიტერ ო კონორი („სელტიკი“, 1941), მესამეა ცნობილი პოლონელი ბომბარდირი ერნსტ ვილიმოვსკი („რუხი“, 1939-40) — 10 გოლით. ჩვენი მიხეილ ჯიშკარიანი („ცხუმი“, 1991-92) 7 ბურთით მე-7-17 ადგილზეა ისეთ ცნობილ ოსტატებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ტედ დრეიკი (ინგლისი), ჰანს კრანკლი (ავსტრია), ლადისლაო კუბალა (ესპანეთი), გუნარ ნორდალი (შვედეთი) და სხვები.

### მეკარის უხანგრძლივესი უგოლო სერია

აქ პირველობს მადრიდის „ატლეტიკოს“ მეკარე აბელი: 1990-91 სეზონში მან 1275 წუთის განმავლობაში შეინახა „მშრალად“ კარი. მომდევნო ადგილებზე არიან იანკო ირგოლიჩი („ოლიმპია“, სლოვენია) — 1201 წუთი (1986-87), კრის ვუდი („რეინჯერსი“, შოტლანდია) — 1196. საქართველოს რეკორდსმენია თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე ნიკა ჩხეიძე — 1101 წუთი. მან ეს შედეგი აჩვენა 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატში და ევროპაში მეშვიდე ადგილზეა.

### ყველაზე ნაკლები გაშვებული ბურთი ერთ ჩემპიონატში

ამაში პირველობას სლოვენიის „ოლიმპია“ ინარჩუნებს — 1986-87 სეზონის 26 მატჩში მხოლოდ 4 გოლი გაუშვა. მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ ნორვეგიის „რუსენბორგი“ (1970; 18 მატჩი) და მოსკოვის „დინამო“ (1936 გაზაფხული; 6) — 5-5; თბილისის „დინამო“ 9 გაშვებული ბურთით (1991; 19) მე-13-15 ადგილებზეა პორტუგალიის „პორტუსთან“ და შვეიცარიის „იანგ ბოიზთან“ ერთად.

### წაუგებელი სერია

აქ დიდი უპირატესობით ლიდერობს რუმინეთის „სტიაუა“ — 1986-89 წლებში ზედიზედ 104 მატჩი არ წაუგია. მეორე ადგილზეა ბელგიის„უნიონი“ (1933-35) — 60, მესამეზე — იტალიის „მილანი“ (1991-93) — 58 მატჩი. 1990-91 წლებში თბილისის „დინამომ“ 23-მატჩიანი წაუგებელი სერია ჩაატარა და ამ შედეგით სადღეისოდ მე-17 ადგილზეა.

### „საშუალო“ ქულა ერთ სეზონში

აქ პირობითად შემოღებულია ქულათა დარიცხვის ასეთი სისტემა: მოგებაზე 2 ქულა, ფრეზე — 1; სეზონში დაგროვებული ქულები იყოფა ჩატარებული მატჩების რაოდენობაზე. ამ მაჩვენებლით პირველ-მესამე ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიის „სლავია“ (1929-30) და მოსკოვის „დინამო“ (1936 გაზაფხული) — 2,0 ქულა. მესამეა — ისლანდიის „ვალიური“ (1978) — 1,94. თბილისის „დინამომ“ ბოლო ჩემპიონატის 30 თამაში (ქულათა დარიცხვის ზემოთ ნახსენები წესით) დააგროვა 53 ქულა და საშუალოდ გამოსდის 1,77 ქულა ანუ 23-24-ე ადგილები შვეიცარიის „სერვეტთან“ ერთად.

### გოლეადორები

ევროპის საუკეთესო სნაიპერია შოტლანდიელი ჯიმი მაკგროსი („სელტიკი“, „კლაიდბანკი“), რომელსაც ქვეყნის ჩემპიონატების და თასის გათამაშებებში (შოტლანდიაში გოლეადორის ორივე ტურნირის ბურთებს უთვლიან) 410 გოლი აქვს გატანილი. მეორეა სახელგანთქმული გერდ მიულერი („ბავარია“ გერმანი) — 365 გოლი, მესამე — ჯიმი გრივსი („ჩელსი“, „ტოტენჰემი“, ინგლისი) — 357. ოთარ კორღალიძემ ეროვნულ ჩემპიონატებში გაიტანა 103 გოლი და ამ შედეგით ევროპელ ბომბარდირებს შორის 26-ე ადგილზეა. ზემოთ დასახელებული სამეულის გარდა მას უსწრებენ ცნობილი ეისებიო (პორტუგალია) — 320 (მე-4 ადგილი), ჰანს კრანკლი (ავსტრია) — 318 (5), სილვიო პიოლა (იტალია) — 274 (8), ოლეგ ბლოხინი (სსრკ) — 211 (17) და სხვები.

რევაზ შენგელია

# უჩვენო ინტერტოტო: დაწყებითი განათლება უეფას თასისთვის

ხვალ იწყება ბრძოლა უეფას თასის ოთხი ვაკანტური ადგილისთვის! შაბათ-კვირას ინტერტოტოს თასის გათამაშების 24 მატჩი გაიმართება. ხუთი კვირის განმავლობაში ყოველ უქმეებზე შეეჯიბრება ერთმანეთს ძველი სამყაროს 60 გუნდი 12 ჯგუფში გამარჯვებულთა გამოსავლენად. ამათ დაემატება მეორე ადგილზე გასულთა შორის ოთხი საუკეთესო შედეგის მქონე და 16 კლუბი უკვე ოლიმპიური სისტემით განაგრძობს ტურნირს, ვიდრე არ გაირკვევა ის ოთხი უძლიერესი, რომლებიც მიიღებენ კიდეც უეფას თასისთვის ბრძოლის უფლებას.

ჯგუფებში მეტოქეებ იერთ წრედ იასპარეზებენ. თითოეული ოთხი თამაშიდან ორს შინ გამართავს, ორსაც — სტუმრად. მატჩები ჩატარდება 24-25 ივნისს, 1-2 ივლისს, 8-9 ივლისს, 15-16 ივლისს და 22-23 ივლისს. 29-30 ივლისს გაიმართება მერვედფინალები, 2 აგვისტოს — მეოთხედფინალები. უეფას თასის წინასწარი ეტაპის მატჩები კი 8 და 22 აგვისტოს გაიმართება.

საბოლოოდ, ინტერტოტოს თასზე, სადაც, სამწუხაროდ, არ დაუშვეს საქართველოს გუნდები, 4-4 წარმომადგენელი ეყოლებათ საფრანგეთსა და გერმანიას; 3-3 ინგლისს, ბელგიას, დანიას, ავსტრიას, რუმინეთს, შვეიცარიას, 2-2 — პოლონეთს, თურქეთს, ისრაელს, შვედეთს, ჰოლანდიას, იუგოსლავიას, საბერძნეთს, ბულგარეთს; 1-1 — სლოვენიას, ნორვეგიას, ფარერებს, პორტუგალიას, უნგრეთს, უელსს, შოტლანდიას, ირლანდიას, ფინეთს, ისლანდიას, ხორვატიას, კვიპროსს, ესტონეთს, ბელარუსს, ჩეხეთს, სლოვაკეთს, მალტასა და ლიტვას.

ქვეყნების თავდაპირველმა წარმომადგენლობამ შემდგომ ცვლილებები განიცადა. პორტუგალიას სამი ადგილის ნაცვლად დარჩა ერთი. ორი ადგილი განაწილდა დანიასა და რუმინეთს შორის. შესაბამისად, ამ ქვეყნების წარმომადგენლობა ორიდან სამამდე გაიზარდა. შვეიცარია კი თავის მესამე ადგილს ლუქსემბურგს უნდა უმადლოდეს.

**პირველი ტური:**

ბაზელი — შეფილდი. 24 ივნისი
ორჰუსი — გურნიკი. 24 ივნისი
ოსტერსი — კიოლნი. 25 ივნისი
ტოტენჰემი — ლუცერნი. 25 ივნისი
ჰავნარი — უნივერსიტატია. 25 ივნისი
არაუ — ტრომსო. 25 ივნისი
ბეკეშჩაბა — უნიაუ. 24 ივნისი
ჰერენვენი — ნესტვედი. 25 ივნისი
ბოჰემიანი — ოდენსე. 24 ივნისი
ნორჩიოპინგი — ჰელსინკი. 25 ივნისი
კეფლავიკი — მეცი. 25 ივნისი
ლინცი — პარტიკ თისლი. 25 ივნისი
ტერვისი — ბუდუჩნოსტი. 25 ივნისი
ოფი კრეტა — ნეა სალამინა. 25 ივნისი
პოგონი — კანი. 24 ივნისი
ბეჩეი — ფარული. 24 ივნისი
ბობი — გრონინგენი. 24 ივნისი
ჩაპლაული — ეტარი. 24 ივნისი
ბეითარი — შარლერუა. 24 ივნისი
უიმბლდონი — ბურსასპორი. 24 ივნისი
ფლორიანა — ტიროლი. 25 ივნისი
გენჩლერბირლიგი — ჰაპოელი. 25 ივნისი
სპარტაკი — აინტრახტი. 24 ივნისი
ფორვარტსი — ირაკლისი. 24 ივნისი

**I**

„კარლსრუე" (გერმანია)
„შეფილდ უენსდეი" (ინგლისი)
„ორჰუსი" (დანია)
„გურნიკი" (ზაბჟე, პოლონეთი)
„ბაზელი" (შვეიცარია)

**II**

„კიოლნი" (გერმანია)
„ტოტენჰემ ჰოთსპური" (ლონდონი, ინგლისი)
„ლუცერნი" (შვეიცარია)
„ოსტერსი" (ვიოკშიო, შვედეთი)
„რუდარი"ველნიე (სლოვენია)

**III**

„ეკერენი" (ბელგია)
„უნივერსიტატია" (კლუჟ-ნაპოკა, რუმინეთი)
„არაუ" (შვეიცარია)
„ტრომსო" (ნორვეგია)
„ჰავნარ ბოლტფელაგი" (ტორსჰავენი, ფარერები)

**IV**

„უნიაუ" (ლეირა, პორტუგალია)
„ჰერენვენი" (ჰოლანდია)
„ნესტვედი" (დანია)
„ბეკეშჩაბა" (უნგრეთი)
„ტონ პენტრე" (უელსი)

**V**

„ბორდო" (საფრანგეთი)
„ოდენსე" (დანია)
„ნორჩიოპინგი" (შვედეთი)
„ჰელსინკი" (ფინეთი)
„ბოჰემიანი" (დუბლინი, ირლანდია)

**VI**

„მეცი" (საფრანგეთი)
„ლინცერ ASK" (ავსტრია)
„პარტიკ თისლი" (გლაზგო, შოტლანდია)
„კეფლავიკი" (ისლანდია)
„ზაგრები" (ხორვატია)

**VII**

„ბაიერ " (ლევერკუზენი, გერმანია)
„ბუდუჩნოსტი" (პოდგორიცა, იუგოსლავია)
„ოფი" (კრეტა, საბერძნეთი)
„ნეა სალამინა" (ფამაგუსტა, კვიპროსი)
„ტერვისი" (პიარნუ, ესტონეთი)

**VIII**

„კანი" (საფრანგეთი)
„ბეჩეი" (იუგოსლავია)
„ფარული" (კონსტანცა, რუმინეთი)
„პოგონი" (შჩეცინი, პოლონეთი)
„დნეპრი" (მოგილიოვი, ბელარუსი)

**IX**

„ბევერენი" (ბელგია)
„გრონინგენი" (ჰოლანდია)
„ჩაპლაული" (პიატრა ნიამტი, რუმინეთი)
„ეტარი" (ტირნოვო, ბულგარეთი)
„ბობი" (ბრნო, ჩეხეთი)

**X**

„შარლერუა" (ბელგია)
„უიმბლდონი" (ლონდონი, ინგლისი)
„ბურსასპორი" (თურქეთი)
„ბეითარი" (იერუსალიმი, ისრაელი)
„კოშიცე" (სლოვაკეთი)

**XI**

„სტრასბური" (საფრანგეთი)
„ინსბრუკი" (ავსტრია)
„გენჩლერბირლიგი" (ანკარა, თურქეთი)
„ჰაპოელი" (ფეთახ-თიქვა, ისრაელი)
„ფლორიანა" (მალტა)

**XII**

„აინტრახტი" (ფრანკფურტი, გერმანია)
„ფორვარტსი" (შტირი, ავსტრია)
„ირაკლისი" (სალონიკი, საბერძნეთი)
„სპარტაკი" (პლოვდივი, ბულგარეთი)
„პანერისი" (ვილნიუსი, ლიტვა)

მეთერთმეტე ტურში ვლადიკავკაზის „სპარტაკმა" ნოვოროსიისკში „ჩერნომორეცს" მოუგო. ეს ვლადიკავკაზელთა ჩემპიონატში მერვე და სტუმრად მეხუთე გამარჯვება გახლდათ. გასვლებზე „აკრეფილი" ქულებით ოსეთის „სპარტაკმა" მოსკოველი „სეხნიის" რეკორდი გაიმეორა. კვლავ ჩინებულად ითამაშეს ქართველებმა: ყაველაშვილმა (პირველი გოლი შეაგდო), შელიამ (მეზღვაურთა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელს ბურდინს არც ფეხი გაანძრევინა, არც თავი) და ლიბეროდ გამწესებულმა ომარ თეთრაძემ, რომელმაც გაზეთ „სპორტ-ექსპრესისგან" 7,0 ბალი მიიღო, მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა, ისევე, როგორც შელია (6,5), თეთრაძის ლიბეროობა რომანცევსაც ჭკუაში დასჯდომია და ომარს ნაკრებშიც უკანა მცველის ადგილი მიუჩინა. ამ მატჩში ბახვა თედეევს ანტი-ჰეთ-თრიქი შეუსრულებია: სამჯერ ვერ გაუტანია ასპროცენტიანი გლი. ხაპოვმა თავი გაიგიჟა და მეოთხედ შეინახა კარი უგოლოდ. ახლა გაზაევის გუნდი პოტენციური ლიდერია (თუ ცესკასთან გადადებული მატჩიც მოიგო, ერთპიროვნულიც), ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი და ყველაზე ნაკლები — გაშვებული.

ლიდერმა, მოსკოვის „დინამომ" ოთხჯერ გაარტყა ბურთი „გაზოვიკის" კარის ძელს და მხოლოდ სერგეი ნეკრასოვის უძლიერესმა დარტყმამ მოუტანა სამი ქულა.

„როსტსელმაშმა" კი ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო. დევაძემ თანაგუნდელთაგან ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა (6,0), მაგრამ ორი გოლი მაინც გაუშვა, თუმცა კოსოლაპოვის პენალტს კინაღამ მისწვდა კიდეც. ბოლო წამებზე აკაკი სირბილით გაეშურა მეტოქის საჯარიმოში — რაკილა მისიანები კუთხურს აწვდიდნენ, იფიქრა, თანაგუნდელებს დავეხმარებიო, მაგრამ სანამ ბურთი მიუვიდოდა, მსაჯის საფინალო სასტვენიც გაისმა. ამ მატჩის შემყურე როსტოველთა ახალ მწვრთნელს სერგეი ანდრეევს ლამის თმები დაუგლეჯია სიმწრით და საათნახევარი არ დამჯდარა, ის კი არა, ხანდახან ბურთის მიმწოდებელ მიჭებსაც შეეშველებოდა ხოლმე, ეგება, წამები მაინც მოვიგოო...

„ურალმაშმა" პირველ ექვს ტურში თოთხმეტი ბურთი გაუშვა, მომდევნო ხუთში კი — არცერთი! ეს ძირითადად 33 წლის მეკარის, დნეპეტროვსკელი ვალერი გოროდოვის ბრწყინვალე თამაშის წყალობით მოხდარა.

## რუსეთი

XI ტური, 17 მაისი. **დინამო (მოსკოვი) — დინამო-გაზოვიკი 1:0, ლოკომოტივი (მოსკოვი) — როსტსელმაში 2:1, როტორი — ტორპედო 1:2, ჟემჩუჟინა — სპარტაკი (მ) 1:2, ჩერნომორეცი — სპარტაკი (ვლადიკავკაზი) 0:3, კრილია სოვეტოვი — ტექსტილშჩიკი 0:3, ურალმაში — კამაზ-ჩალი 0:0, ლოკომოტივი (ნიჟნი ნოვგოროდი) — ცსკა 0:0.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «სპარტაკის» აჯანყება

სამარელი ზურაბ წიკლაური მოუშუშებელი ტრავმით გამოვიდა „ტექსტილშჩიკთან", აქტიურადაც ითამაშა და ყველაზე უკეთესი შეფასებაც დაიმსახურა (6,0), მაგრამ რად გინდა, თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და შინ 0:3 წააგეს. „ურალმაშისგან" განსხვავებით, თუ პირველ რვა თამაშში „კრილია სოვეტოვმა" მხოლოდ რვა ბურთი გაუშვა, უკანასკნელ სამში 10-ჯერ დაიწყო ცენტრიდან თამაში.

ომარ შარაძის „ლოკომოტივმა" მეთერთმეტე ტურში მშვიდი მატჩი ითამაშა ფრედ, თანაც, ზედიზედ მესამე მატჩია, ნიჟნი ნოვგოროდელები ვერც თვითონ იტანენ, არც მეტოქეს ატანინებენ. ცესკას მწვრთნელმა ალექსანდრე ტარხანოვმა, თავის დროზე ამ გუნდის მაისურით 70-მდე გოლი რომ გაიტანა, რატომღაც არმიელთა ყველაზე აქტიური ფორვარდი ფაიზულინი დაასვენა, აქაოდა, თავდამსხმელთა სხვა წყვილის გამოცდა მინდოდაო.

„როტორის" ლიდერმა ვერეტენნიკოვმა „ტორპედოს" გოლი გაუტანა და ბომბარდირობა დაიბევა, მაგრამ „ტორპედო" ამ ჩემპიონატში იმით გამოირჩევა, რომ ერთადერთია, ვინც სტუმრად ცოცხალი თავით არ აგებს. ჰოდა, ვოლგოგრადიდანაც სამი ქულა წამოიღო.

მოსკოვის „სპარტაკმა" კი, როგორც იქნა, ნავსი გატეხა და, ხუთი თამაში მოგება რომ არ იცოდა, სოჭში „ჟემჩუჟინა" სძლია 2:1. ვალერი შმაროვი მე-10 წამზე (!) უსწრაფეს გოლს შეაგდებდა, დევაძის ნაქებ მეკარე კრიუკოვს სასწაული რეაქცია რომ არ გამოემჟღავნებინა. შმაროვმა მაინც გაიტანა გოლი, რომელმაც, ფაქტიურად, გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ოლეგ რომანცევმა თავდაჯერებით განაცხადა, თამაში პირველივე ტაიმში უნდა მომეგოო. ოთხი დღით ადრე კი, რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის სხდომაზე მან ისიც განაცხადა, თუ ლიგის პრეზიდენტი ნიკოლაი ტოლსტიხი, რომელიც თან მოსკოვის „დინამოს" პრეზიდენტიცაა, ლიგის ხელმძღვანელის ადგილს არ დატოვებს, მე, როგორც „სპარტაკის" პრეზიდენტი და მთავრი მწვრთნელი, უფლებას ვიტოვებ, მოსკოვის „სპარტაკი" ჩემპიონატიდან გავიყვანოო. რომანცევმა ეს იმით ახსნა, რომ ტოლსტიხი ყოველნაირად ეხმარება მოსკოვის „დინამოს", კომისრებსაც სულ თავის ხალხს ნიშნავსო. რომანცევს „ტექსტილშჩიკის" მთავრი მწვრთნელი სერგეი პავლოვიც აჰყვა, მეც გავიყვან ჩემს გუნდს ჩემპიონატიდანო. არც ალექსანდრე ტარხანოვმა მოუწონა ტოლსტიხს ორ სკამზე ჯდომა, ეს კი, ვითომც აქ არაფერიო, მაგრად იდგა და მშვიდად ამბობდა, წაბრძანდით, ბატონო, ვინ გიჭერთ, ჩემპიონატს უთქვენოდაც ჩავამთავრებთ, ჩემი მოხსნის უფლება კი არავისა გაქვთ, სამი წელი მე ვარ ლიგის ბატონ-პატრონიო.

მამუკა კვარაცხელია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 8 | 2 | 1 | 19-9 | 26 |
| ვლადიკავკაზი | 10 | 8 | 0 | 2 | 24-7 | 24 |
| ლოკომოტივი | 11 | 7 | 2 | 2 | 17-11 | 23 |
| ტორპედო | 11 | 6 | 2 | 3 | 16-13 | 20 |
| ურალმაში | 11 | 5 | 2 | 4 | 13-14 | 17 |
| კამაზი | 11 | 4 | 4 | 3 | 13-10 | 16 |
| ცსკა | 9 | 4 | 3 | 2 | 18-11 | 15 |
| სპარტაკი | 11 | 4 | 3 | 4 | 20-16 | 15 |
| როტორი | 11 | 4 | 2 | 5 | 20-17 | 14 |
| ტექსტილშჩიკი | 11 | 3 | 4 | 4 | 14-12 | 13 |
| ჟემჩუჟინა | 11 | 3 | 3 | 5 | 14-21 | 12 |
| ჩერნომორეცი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-17 | 10 |
| კრ. სოვეტოვი | 11 | 2 | 4 | 5 | 11-18 | 10 |
| ნ. ნოვგოროდი | 11 | 1 | 7 | 3 | 7-9 | 10 |
| როსტსელმაში | 11 | 2 | 1 | 8 | 10-26 | 7 |
| გაზოვიკი | 10 | 1 | 2 | 7 | 8-23 | 5 |

ბომბარდირები

ოლეგ ვერეტენნიკოვი (როტორი) — 8
ვლადიმერ ლებედი (ცსკა) — 7

# ბოსმანის ამბოხი

ევროპულ ფეხბურთში გადატრიალება მზადდება. ბელგიის „ლიეჟის" ყოფილ მოთამაშეს, ჟან-მარკ ბოსმანს ევროპის სასამართლოში უჩივლია ბელგიის ფეხბურთის ფედერაციისა და უეფასთვის. მომჩივანი ითხოვს, ევროპის კავშირის ქვეყნების კლუბებისათვის გაუქმდეს უცხოელ მოთამაშეთა ლიმიტი და სატრანსფერო გადასახადი, რადგანაც ეს ინსტიტუტები ეწინააღმდეგებიან მუშახელის შეუზღუდავად მოძრაობის პრინციპს, რომლის ხორცშესხმაც ევროპის კავშირის შემქმნელებს ერთ უმთავრეს მიზნად დაუსახავთო.

არადა, ამ წესების არსებობა ეროვნული ფეხბურთებისთვის აუცილებელია. ლეგიონერთა რიცხვი შეუზღუდავი რომ იყოს, კლუბები უცხოელებით აივსებოდა და ადგილობრივ მოთამაშეებს გასაქანი მოესპობოდათ, სატრანსფერო გადასახადის გაუქმებით კი ბობოლები მუქთად წაჰგლეჯდნენ რიგით კლუბებს კარგ მოთამაშეებს, რითაც ბოგანოები უფრო დასუსტდებოდნენ, რაც ლიგების საერთო დონეს ერთობ დასცემდა.

ბოსმანი თავისი უბედობის გამო ჩივის: „ლიეჟთან" კონტრაქტი რომ გაუთავდა, კლუბმა არსად გაუშვა, ვინაიდან მის მიერ ბოსმანის სანაცვლოდ მოთხოვნილ თანხას ყველა კლუბი ძვირობდა. ბოსმანი უმუშევარი დარჩა და კარიერაც უსახელოდ დაასრულა.

საქმის განხილვა კარგა ხანს გასტანს. მსაჯული წინასწარ განჩინებას 12 სექტემბერს გამოაქვეყნებს, საბოლოო განაჩენი კი გაისად გამოცხადდება. თუ ბოსმანი გაიმარჯვებს, ევროპული ფეხბურთის ათწლეულობით ნაშენები და ნალოლიავები სისტემა ხუხულასავით დაინგრევა.

## ავსტრია

# ათიდან — შვიდი!

წლეულს შვიდი ავსტრიული გუნდი გამოვა ევროპის თასებზე: კაზინო — ჩემპიონთა თასზე; რაპიდი — თასების თასზე; შტურმი და აუსტრია — უეფას თასზე; ტიროლი, ლინცერი და ფორვარტსი — ინტერტოტოს თასზე.

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაზინო | 36 | 15 | 17 | 4 | 48-24 | 47 |
| შტურმი | 36 | 18 | 11 | 7 | 58-41 | 47 |
| რაპიდი | 36 | 19 | 8 | 9 | 63-50 | 46 |
| აუსტრია | 36 | 16 | 11 | 9 | 58-38 | 43 |
| ტიროლი | 36 | 15 | 10 | 11 | 61-44 | 40 |
| ლინცერ ASK | 36 | 14 | 11 | 11 | 51-44 | 39 |
| ადმირა-ვაკერი | 36 | 11 | 11 | 14 | 48-55 | 33 |
| ფორვარტსი | 36 | 9 | 11 | 16 | 40-49 | 29 |
| ლინცი | 36 | 5 | 10 | 21 | 33-81 | 20 |
| მიოდლინგი | 36 | 4 | 8 | 24 | 28-62 | 16 |

კაზინომ გაიმარჯვა ბურთების უკეთესი სხვაობით

**ინგლისში** სამშაბათს გამოქვეყნდა მომავალი პირველობის განრიგი. ჩემპიონი „ბლექბერნ როვერსი" პირველ ტურში მასპინძლობს „ქუინზ პარკს", მეორე ადგილზე დარჩენილი „მანჩესტერ იუნაიტედი" კი „ასტონ ვილას" ეწვევა. პირველობის დებიუტანტმა „ბოლტონ ვონდერერსმა", ვისაც მწვრთნელი ბრუს რიოქი წარსტაცა „არსენალმა", მენეჯერად მიიწვია ინგლისის ნაკრების ყოფილი მცველი როი მაკფერლანდი, ვინაც წინა სეზონში „დარბი ქაუნთიმ" გააგდო. რაც შეეხება „ტოტენჰემის" მიერ შარშან ნოემბერში დათხოვნილ არგენტინელ ოსვალდო არდილესს, იგი მექსიკას გადაიხვეწა და ერთი წლით იქაური „გვადალახარას" მწვრთნელობას დაყაბულდა.

## ფეხბურთის რუკასთან



**ანგოლას** ერთ-ერთ პროვინციაში თვითმფრინავის კატასტროფის გამო დაიღუპა 36 მგზავრი. მათ შორის ერივნენ მეორე ჯგუფის გუნდის — „მაბოკის" ფეხბურთელებიც.

**შვეიცარიის** ფეხბურთის ფედერაციის ასწლოვან იუბილეს ეძღვნება სამი გუნდის ტურნირი. პირველ მატჩში, ორშაბათს, იტალიამ ლოზანაში 1:0 დაამარცხა მასპინძლები. გოლი პირველ ნახევარში პიერ-ლუიჯი კაზირაგიმ გაიტანა. შეჯიბრის მესამე მონაწილეა გერმანია.

**სერბმა** რადი ანტიჩმა გარისკა და მორიგ მწვრთნელად დაუდგა მადრიდის „ატლეტიკოს" შერეკილ პრეზიდენტ ხესუს ხილს. აქამდე ანტიჩს სამი წელი „ოვიედო" უვარჯიშებია.

**პორტუგალიის** ნაკრების წევრი ლუის ფიგუ ლისაბონის „სპორტინგიდან" გადასულა ესპანეთის „ბარსელონაში", რომელსაც საგაისოდ დიდი გეგმები დაუწყვია, მით უფრო, რომ ერთადერთი ესპანური კლუბია, ვისაც ევროპულ თასებზე ერთი სეზონი, ისიც არ გასცდენია.



ჯეიმზ სმოლს ლომუს დაჭერა ანდეს!

# «ქურციკების» მოკვდინების წინ

| სამხრეთი აფრიკა | | | ახალი ზელანდია | |
|---|---|---|---|---|
| ნატალი | ანდრე ჟუბერი | 15 | გლენ ოზბორნი | ჩრდ. ნავსაყუდელი |
| ნატალი | ჯეიმზ სმოლი | 14 | ჯეფ ვილსონი | ოთაგო |
| ტრანსვაალი | იაპი მულდერი | 13 | ფრენკ ბანსი | ჩრდ. ნავსაყუდელი |
| ტრანსვაალი | პენი ლერუ | 12 | ვოლტერ ლითლი | ჩრდ. ნავსაყუდელი |
| დას. კონცხი | ჩესტერ ვილიამსი | 11 | ჯონა ლომუ | სამხ. ოქლენდი |
| დას. კონცხი | ჯოელ სტრანსკი | 10 | ენდრიუ მერთენსი | ქენთებრი |
| ჩრდ. ტრანსვაალი | იუსტ ფანდერვესტჰოიზენი | 9 | გრემ ბეშოფი | ქენთებრი |
| ნარინჯი | პეტერ დიურანი | 1 | კრეგ დაუდი | ოქლენდი |
| ტრანსვაალი | ქრის რუსო | 2 | შონ ფითსპატრიქი | ოქლენდი |
| ტრანსვაალი | ბალი სვორთი | 3 | ოლო ბრაუნი | ოქლენდი |
| ტრანსვაალი | კობუს ვიზე | 4 | იან ჯოუნზი | ჩრდ. ნავსაყუდელი |
| ტრანსვაალი | ჰანეს სტრაიდომი | 5 | რობინ ბრუქი | ოქლენდი |
| ტრანსვაალი | ფრანსუა პინარი | 6 | მაიკ ბრუერი | ქენთებრი |
| ჩრდ. ტრანსვაალი | რუბენ კრუგერი | 7 | ჯოშ კრონფელდი | ოთაგო |
| ნატალი | მარკ ენდრიუზი | 8 | ზინზან ბრუქი | ოქლენდი |
| დას. კონცხი | მორნე დიუპლესი | მენეჯერი | ქოლინ მიდზი | სამეფო ქვეყანა |
| ტრანსვაალი | ქიჩ ქრისთი | მწვრთნელი | ლორი მეინსი | ოთაგო |



„ოლ ბლექსს" უკანასკნელად უკაპიტნებს შონ ფითსპატრიქი

ხვალინდელი ფინალის გამო სამხრეთაფრიკელმა „ქურციკებმა" ხმა პირველად ამ ორშაბათს ამოიღეს. მედიამ თავი ანება პრეზიდენტ მანდელას ბოლო დეკრეტის განხილვას, სიკვდილით დასჯის გაუქმებას რომ ითვალისწინებს, და თავიანთ მორაგბეებს ერთი კითხვა მისცა, როგორ აპირებთ ჯონა ლომუს დაჭერასო.

ამის პასუხად ტრანსვაალელ მწვრთნელ ქიჩ ქრისთის მთელი თეორია განუვითარებია. პირველი: ლომუ ისე უნდა დავზაფროთ და შევავიწროვოთ, რომ ბურთი არ მივაღებინოთო. მეორე: თუ ბურთს მაინცდამაინც მიიღებს, საიერიშოდ ხელსაყრელი ვითარება არ უნდა ექნესო. და ბოლოს, მესამე: თუ ბურთიც მიიღო და გაიქცა, უნდა შევბოჭოთო.

ეს ურთულესი მისია დაეკისრა თავქარიან ჯეიმზ სმოლს, რომლის კარგი თამაშიც ამ თასზე არავის აღუნიშნავს, ისე კი ამბობენ, რომ ერთობ კოლორიტული ვინმეა და მონაცემებიც ლომუს ბადალი აქვს. სმოლი 100 მეტრს 10,6 წამში გარბის, მაგრამ მოედანზეცა და ცხოვრებაშიც ერთობ გაუწონასწორებელი ვინმეა: შარშან არ იყო, ახალზელანდიური ტურნეს დროს ბრ[illegible] მორკინალებს დერეფანში რომ მიეჯრა და მუშტი-კრივი გაუმართა, შემოდგომაზე კი არგენტინასთან ტესტის შემდეგ ღამის ბარში გამოთვრა და ისეთი დებოში მოაწყო, რომ ერთი პირობა ნაკრებიდანაც კი გარიცხეს.

სმოლი ამ მსოფლიო თასზე ტრავმებმა შეაწუხა, მაგრამ „ქურციკთა" ბანაკიდან ქვეყანას დამაიმედებელი ცნობა მოეფინა, ჩვენი ფალავანი ჯანზეა და ლომუს შეებრძოლებაო. აქამდე ლომუმ შავი დღე აყარა ირლანდიელ ვოლისს, უელსელ პროქტორს, შოტლანდიელ ჯოინერსა და ინგლისელ თ. ანდერვუდს. ყველა ესენი ლომუს პირისპირ იდგნენ, თორემ მათ გარდა ზღვისრეთელმა გოლიათმა მიჰყარ-მოჰყარა შოტლანდიელი ჰეისთინგსები თუ მრისხანე ინგლისელები — ქარლინგი და ქეთი. სამაგიეროდ, ალალმა და ეშხიანმა ირლანდიელმა გარემარბმა საიმონ გეგანმა ერთხელ ბრწყინვალედ დასცა, რაც ცხადად მოწმობს, რომ ზეკაცი ლომუც ადამიანია და თუ სწორად და არა მავან ინგლისელთავით ჩასვრილნი ეთამაშებიან, მისი დაჭერა სრულად რეალურია.

ლომუს უვნებელყოფა „ქურციკთა" ტაქტიკის ოდენ ერთი რგოლი იქნება. მთავარი მაინც ზელანდიის „ოლ ბლექსის" გუნდური თამაშის მოშლაა. „შავებს" ზომიერად მძიმე და მაღალი, მაგრამ ერთობ მოძრავი შერკინება ჰყავთ, ვისაც ყოჩივით წინამძღოლობს ბებერი და უტეხი შონ ფითსპატრიქი, აგრიალებს ნორჩი, თავხოტორა ფრთა ჯოშუა (იესო) კრონფელდი, ხოლო ამშვენებს გამოუცნობი ზინზან ბრუქი.

ნაკრების 9 ნომრად დაბრუნების შემდეგ გადასარევად თამაშობს ბეშოფი, დანარჩენი უკანახაზელები კი ჭეშმარიტი ვარსკვლავები არიან: ნორჩი 10 ნომერი მერთენსი ბომბარდირი ფოქსის ღირსეული შემცვლელია, მობურთალობით კი კიდეც სჯობნის; მეორე ფრთაზე ნორჩი ჯეფ ვილსონი დგას, რომელიც მორაგბეობის გარდა მხეცი მოკრიკეტეცაა; შუამარბებად კი თამაშობს ორი ვაჟკაცი, რომელთა ფინტებზეც, შეუძლებელია, კაცი არ წამოეგოს, თავად ლითლი და ბანსი კი იმ სიგანენი არიან, უნებურად პირველი ხაზის მორკინალები გეგონებათ.

15 ნომერია ოზბორნი, რომელსაც თბილისელი ძველი ბიჭის მიხვრა-მოხვრა კი აქვს, მაგრამ შემთხვევით როდი გამხდარა შარშანდელი ჰონკონგის შვიდკაცას საუკეთესო მოთამაშე: სპრინტერივით დარბის და შესაშურად ბურთაობს, დაცვაში კი სალი კლდესავითაა — აბრაგანებს მშვიდად უვნებელყოფს ხოლმე.

ზელანდიელთა მწვრთნელი მეინსი ოთხი წელი მუშაობდა ასეთი ნაკრების შედგენაზე. ამ ხნის მანძილზე ბევრი თამაშიც წააგო, ბევრიც ლანძღეს, მაგრამ მაინც ვერ დაამხეს. პირიქით, ამ ოთაგოელმა ქლალთმიანმა სპეციალისტმა ალკვეთა ნაკრებში ოქლენდელთა პარპაში და საჩემპიონო გუნდი პროვინციელთაგან შექმნა, თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს და ჩრდილოეთ ნავსაყუდელს ოქლენდისაგან გამოჰყოფს ხიდი, ამ ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში შეჭრილ ყურეზე რომ გაუდიათ.

ასეთი მეტოქის დასამარცხებლად მასპინძლებს დიდი მუშაკობა მოუწევთ. ისტორია მათ მხარესაა — ზელანდიას ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავდა, მაგრამ „ქურციკთა" ბალანსი მაინც უპირატესია. სამხრეთაფრიკელები მეტოქეს ხშირად სჯობნიდნენ ზომით, წონით, უზომო თავდადებით, უკეთესი ორგანიზაციით, ჭკუითა და ვერაგობით. ამასთან, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თამაში ზელანდიელთათვის მაინც უჩვევ მაღალმთიანეთში გაიმართება და 70 ათასზე მეტი კაცი „ქურციკებს" ისტერიულად დაუჭერს მხარს.

სამხრეთაფრიკელ თეთრკანიანთა უმრავლესობა — ყოფილი ბურები, აწ აფრიკანერებად რომ იწოდებიან, რაგბზეა გადარეული. ამ თამაშში ზელანდიის დამარცხება მათთვის ომში ინგლისის ძლევის ტოლფასი უნდა იყოს. ისიც სათქმელია, რომ ხვალინდელი ფინალით აფრიკული სარაგბო მატიანის უსახელოვნესი კარი დაიხურება: მანდელას მითითებით ნაკრებს გამოეცვლება სახელი, სათამაშო ტანისამოსის ფერი და ამიერიდან 50-50 პრინციპით დაკომპლექტდება. უეჭველია, რომ „ქურციკები" მოკვდებიან, თავიანთი უკანასკნელი თამაში რომ მოიგონ და ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონებად შევიდნენ!

მერე რა იქნება, კაცმა არ იცის. სმოლი თურმე ლიგის რაგბში გაქცევას აპირებს, ლომუს კი პროფესიული ბურთაობის სვავები კალთებს აზევენ და მილიონებს სთავაზობენ, ოღონდაც 20 წლის გოლიათი მათ რჯულზე მოექცეს. ამის გამო თვით ლომუს წინამორბედს, პირველი მსოფლიო თასის გმირ ჯონ ქერვინს ალუმალებია ხმა: მართალია, თავად ამჟამად ლიგას ვთამაშობ და ჩვენი თამაშისთვისაც ერთობ სარფიანი უნდა იყოს ლომუს გადმობირება, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ლომუ ზელანდიურ რაგბს უფრო სჭირდება. ჰოდა, მამებმაც ყველა ღონე უნდა იხმარონ და რა თანხაც უნდა დაუჯდეთ, ლომუ „სამოყვარულო" სპორტში შეინარჩუნონო!

რაგბისთვის თავის მინებებას ფიქრობს თურმე „ოლ ბლექსის" კაპიტანი შონ ფითსპატრიქიც. მას ვითომც უთქვამს, ფინალი ჩემი კარიერის ბოლო თამაში იქნებაო. ამაზე მენეჯერ, „ფიჭვად" ცნობილ ქოლინ მიდზს შეუნიშნავს, მაინცდამაინც არა მჯერა, სკიპერმა „ბლედისლოუს თასისთვის" ავსტრალიასთან თამაშების წინ მიგვატოვოსო.

ფინალს ინგლისელი ედ მორისონი იმსაჯებს. ეს მატჩი მისთვის მე-17 ტესტი იქნება.

**უჩა დავითაშვილი**

| საქართველოს პირველობა. I ჯგუფი |
|---|
| 20.VI. ვაკე |
| სინის მეოთხე გათამაშება |
| გუმარი 31 (18) — თბილისი 13 (3) |
| მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი (42+44); თანამსაჯები: გოჩა აბაშიძე და გელა მიქაბერიძე |
| გუმარი (მფლობელი): მაჩიტიძე; ბ. იურინი (ძაგანელი, 58), ჩიქვინიძე, მგელაძე, ბუგიანიშვილი; შ. მოდებაძე, ჯანელიძე; მთიულიშვილი, ბერიაშვილი, ცაბაძე (გაგნიძე); ხუადე, მჭედლიშვილი; სორდია (დიდებულიძე, 43), ზ. ლეჟავა, კ. კობახიძე (მაგრაქველიძე, 51). — 3ლ: სორდია (18), მაჩიტიძე (41), ლეჟავა (53); 2გ: მოდებაძე (18, 53); 4ს: მოდებაძე (28, 59), მაჩიტიძე (38, 75) |
| თბილისი (მოცილე): ნეველიძე; ლიპარტელიანი, ალანია, ჩხენკელი, ქავთარაშვილი; ძნელაძე, იოვაძე; ცქიტიშვილი, დოლიძე, მაჭუტაძე; მესხი, კაცაძე; დგებუაძე, ა. კობახიძე, კახიანი. — 2ლ: ქავთარაშვილი (56), იოვაძე (70); ს: ძნელაძე (12) |

# ჯანსაღი დროსტარება



კახა მაჩიტიძემ ორი საჯარიმო ცენტრიდან შეაგდო!

გაგანია ზაფხულია, ჩვენი საშინაო სპორტული ცხოვრება კი ერთობ მინავლებულა. ერთი რაგბის ჩემპიონატილა შემოგვრჩენია სუფთა ჰაერზე გულის გადასაყოლებლად, მაგრამ ვაი უბედურებას: თამაშები ერთობ ადრიანად, საღამოს ოდენ შვიდ საათზე იწყება, ამ დროს კი ჯერაც ისე ცხელა, რომ ჯანსაღ გართობას მოწყურებული საზოგადოებრიობა სტადიონზე თანდათან მოედინება და პირველი ნახევრის ბოლოსთვის თულა მოგროვდება საკმაო ოდენობით.

ვინ ქვეითად მოდის, ვინ მანქანით, ვინ ამფსონებით, ვინაც ოჯახითურთ. მოთამაშეთა დედებსაც ამ ბოლო ხანებში ისევ მოწყალე თვალით შეუხედავთ ოვალური ბურთით თამაშისათვის და თავიანთი თუ დობილთა შვილების ქომაგობასაც არ უკადრისობენ.

რაგბის მატჩების დროს ვაკის სტადიონზე ერთობ შინაურული ვითარება სუფევს. იყიდება ტკბილეულობა, მოედნის გარშემო წვრილფეხობა ლაღობს, რაგბის ქომაგები კი მიმოდიან და ზელანდიელ ლომუზე მსჯელობენ. გაფიცულ მსაჯთა ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა — გარეშენი ტრიბუნებზე აბრძანდით და თამაშს ისე უცქირეთო, უკვე მივიწყებულია. ავტო-რაგბის [illegible]მდევრებიც თავს ძველებურადვე გრძნობენ, რაც აშკარად მატებს კოლორიტს ვაკურ სარაგბო გარემოს.

ამ სამშაბათს კალენდარულ მატჩს, იმავდროულად სინის მეოთხე გათამაშება და „გუმარ" — „თბილისის" წელს უკვე მესამე შერკინება რომ იყო, თავისი უნიკალური ქვეტექსტი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ „გუმარს" სინი უნდა დაეცვა უმწვრთნელოდ, ვინაიდან გურამ მოდებაძე, იგივე „ბურძგლა", სამხრეთ აფრიკას წასულა მსოფლიო თასის ბოლო ორ თამაშზე დასასწრებად. როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, მწვრთნელს დაუმოძღვრავს შეგირდი ნუკრი ხვედელიძე, ასე და ასე ათამაშე გუნდიო. ახალ ხელმძღვანელს „გუმარის" სათადარიგოებიც ეშველებოდნენ რჩევით: ისინი კიდესთან ტრიალებდნენ და რიგითი მაყურებელივით ადევნებდნენ თვალს თამაშს. ამგვარ მეთვალყურეთა შორის ერია „მარჯანაც" — მერაბ მარჯანიშვილი, რომელსაც საზაფხულო მსუბუქი ყოველდღიური სამოსი კი ეცვა, მაგრამ შორიდანაც ჩანდა, ნებისმიერ დროს მზად იყო, ციმციმ სარაგბოდ გამოწყობილიყო და შეშველებოდა თანაგუნდელებს.

გუმარელებმა „მარჯანა" არ შეაწუხეს და უმისოდა და უბურძგლაოდაც შეინარჩუნეს სინი, რომელიც სტადიონზე თამაშის 31-ე წუთზელა მოაგრიალეს მანქანით. მისმა მომრთმევმა „ზოიამ" — „გუმარის" მენეჯერმა და შეთავსებით მესამე ხაზის მორკინალმა ზურაბ ზოიძემ უმალ ანგარიში მოიკითხა და უთუოდ კმაყოფილი დარჩებოდა, ვინაიდან მისიანები უკვე 10:3 იგებდნენ.

სინის ამდენი მოტანა-წაღების გამო მავანმა მაყურებელმა რაციონალიზატორული წინადადება შემოგვთავაზა: რაკი სინის მოცილე გუნდები თბილისის ამ ერთადერთ სტადიონზე თამაშობენ, ამის გამო უპრიანი ხომ არ იქნება, ჯილდოს აქვე მივუჩინოთ ადგილი — ვთქვათ და დირექტორის კაბინეტში ჩამოვკიდოთ, გამარჯვებულ გუნდს კი მასთან სურათი გადავუღოთო. ხუმრობა იქით იყოს და ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ უკეთესი იქნება, თუ მფლობელი სინს მატჩის დაწყებამდე წარუდგენს მსაჯს, რომელიც მას მოცილეს დაანახებს და გააზელებს, მერე კი თამაშის ბოლომდე სინს მფლობელი სათუთად შეინახავს და თუ დამარცხდება, იქვე სახალხოდ გადასცემს ახალ მფლობელს.

ამჯერად ამ პროცედურული წვრილმანების დაცვა საჭირო არ შეიქნა. საკმარისი იყო, „გუმარს" საჯარიმოდან გოლი გაეშვა, რომ მყის ათამაშდა. უმალ და მერე ბევრჯერაც გამოიჩინა თავი დიდ რაგბში დაბრუნებულმა 8 ნომერმა კახა კობახიძემ, ვინც შერკინების გვერდით მწვავედ უტევდა. საერთოდ, სინის მფლობელთა მთელმა მესამე ხაზმა ამ დღეს მშვენივრად ითამაშა შეტევაში.

პირველი ლელო ჯანელიძის იერიშის შემდეგ გავიდა. „თბილისმა" ორგზის ვერ მოიგერია ბურთი და ისიც სორდიამ გაიტანა, ტაიმის ბოლოს კი ჯერ მაჩიტიძემ შეაგდო ცენტრის ხაზიდან საჯარიმო, მერე კი „თბილისმა" ისე უხეიროდ შეასრულა 22-მეტრიანი დარტყმა, რომ ბურთი „გუმარის" კაპიტანმა ბერიაშვილმა იგდო და თუმც მისი თანაგუნდელები, ცოტა არ იყოს, დააბნია მოედნის იმავ უბანზე შეგორებულმა ფეხბურთის ბურთმა, მოლიდან მიღებული ბურთი მოდებაძემ შორს მიაწოდა ბუგიანიშვილს, ამან შიგნით — მგელაძეს, ამან კი ისევ გარეთ — მაჩიტიძეს 18:3.

„თბილისმა" მეორე ნახევრის მეტი წილი იერიშებში გაატარა. მათ დამრტყმელს ორი-ორი საჯარიმო და გარდასახვა რომ გაუცუდდა, გუნდმა ინგლისის ნაკრების ყაიდაზე რაგინდარა ადგილიდან სცადა საჯარიმოს გათამაშება და ორი ლელოც გაიტანა. მანამდე, მხარმოშუშებულმა ზაზა ლეჟავამ მარჯვედ ისარგებლა „თბილისელთა" მორიგი ავანტურით, რის შედეგადაც სხვაობამ 22 ქულას მიაღწია.

ბოლო ნახევარ საათში „თბილისმა" 13-ჯერ (!) გაათამაშა საჯარიმო. პირველი ლელო ბურთის მარცხნივ ჩათამაშების შემდეგ გაიტანა ქავთარაშვილმა, მეორე დროს კი იოვაძე ყველას გაუსხლტა. ამ დროს უკვე ცრიდა, მატჩის მიწურულს კი დაიქუხა კიდეც. 75-ე წუთზე მაჩიტიძემ შორიდან კიდევ ერთი გოლი გაიტანა, ბოლო ხუთი წუთი კი „თბილისმა" მეტოქის ლელოს შტურმში გაატარა. ამ იერიშებიდან ერთობ საგულისხმო იყო ის, იოვაძემ პირდაპირ მარჯვენა გარემარბს რომ მიაწოდა ბურთი.

თუ გულახდილი ვიქნებით, ჯამში დიდი ვერაფერი თამაში გამოვიდა. მიუხედავად ამისა, წაგებულთა მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა დიდსულოვნად შენიშნა, „დიდი რაგბი თბილისშიც მოსულაო!"

**ოთხშაბათს ლიდერმა „აიამ" ვაკეში ნაავდრალზე ლამაზი თამაშით დაამარცხა „ყოჩები" 28 (2ლ) : 10 (ლ). ძმებმა ძაგნიძეებმა 3 არეკნი გაიტანეს. იმავე დღეს რუსთავს მიმავალ „აიეტის" ავტობუსს ზესტაფონთან ავარია შეემთხვა და უკან, ქუთაისში მიბრუნდა.**

**ზაზა ფხაკაძე**

გია ახალაძის ფოტო.

# სიახლე სპორტის მოყვარულთათვის!

* „აიაქსის“ წარმატებათა მთავარი საიდუმლო!
* მადამ მალახოვა დღეში 10 000 დოლარს თმობს?!
* «რეალმა» გვირგვინი დაიბრუნა!
* მეფეთა მეფე უეინ გრეცკი და კარის ინტრიგები...

უცხოური სპორტის
სარბიელი

მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთებიდან გადმოქართულებული ეს და სხვა საინტერესო რეპორტაჟები და ინტერვიუები ჩვენი გაზეთის დამატება-დაიჯესტში „უცხოური სპორტის სარბიელი“, რომლის პირველი ნომერიც ამ დღეებში გამოვა.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, a - სტუმრად | 1 | X | 2 | Iნრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფეხბურთი** | | | | | | |
| ნიგერია - მექსიკა | 3,2 | 2,8 | 1,6 | 24 ივნისი | | |
| დეპორტივო - ვალენსია | 1,6 | 2,8 | 3,2 | 24 ივნისი | | |
| მიონხენგლადბახი - ვოლფსბურგი | 1,15 | 3,5 | 6,0 | 24 ივნისი | | |
| აშშ - კოლუმბია | 2,5 | 2,5 | 2,0 | 25 ივნისი | | |

### კალათბურთი. ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი საბერძნეთში

| | 1 | | | | 2 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვაობა ანგარიშში | >30 | 21-30 | 11-20 | 1-10 | 1-10 | 11-20 | 21-30 | >30 |
| **23 ივნისი** | | | | | | | | |
| თურქეთი — ფინეთი | 3,0 | 2,5 | 2,0 | 2,0 | 2,0 | 2,5 | 3,0 | 4,0 |
| იუგოსლავია — ლიტვა | 7,0 | 3,8 | 2,4 | 1,8 | 1,6 | 2,0 | 3,0 | 5,0 |
| გერმანია — შვედეთი | 3,5 | 2,5 | 1,8 | 1,8 | 2,5 | 3,0 | 5,0 | 10,0 |
| ესპანეთი — საფრანგეთი | 4,0 | 2,5 | 2,0 | 1,8 | 2,0 | 2,5 | 5,0 | 8,0 |
| საბერძნეთი — იტალია | 4,0 | 3,0 | 2,0 | 1,6 | 1,8 | 2,8 | 5,0 | 10,0 |
| რუსეთი — ხორვატია | 10,0 | 5,0 | 2,5 | 1,8 | 1,6 | 2,0 | 3,5 | 8,0 |
| **24 ივნისი** | | | | | | | | |
| საფრანგეთი — თურქეთი | 3,5 | 2,5 | 2,0 | 2,0 | 2,8 | 4,0 | 8,0 | 15,0 |
| იტალია — იუგოსლავია | 6,0 | 3,8 | 2,2 | 1,8 | 1,6 | 2,0 | 3,5 | 8,0 |
| ისრაელი — გერმანია | 5,0 | 3,0 | 2,0 | 1,6 | 1,8 | 2,5 | 5,0 | 10,0 |
| სლოვენია — რუსეთი | 15,0 | 8,0 | 4,0 | 2,5 | 2,2 | 2,2 | 2,4 | 2,5 |
| ხორვატია — ესპანეთი | 5,0 | 2,6 | 2,0 | 1,8 | 2,0 | 2,5 | 5,0 | 10,0 |
| შვედეთი — საფრანგეთი | 20,0 | 10,0 | 5,0 | 2,5 | 2,5 | 2,2 | 2,5 | 2,8 |

კოეფიციენტების შესაძლო კორექტივებს ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის“ ფოიეში ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს 13-დან 16 საათამდე

INTERTOTO CUP

### ფეხბურთი. ინტერტოტოს თასი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბაზელი - შეფილდ უენსდეი | 3,0 | 2,9 | 1,6 | 24 ივნისი |
| ორპუსი - გურნიკი | 1,6 | 2,8 | 3,2 | 24 ივნისი |
| ოსტერსი - კიოლნი | 4,4 | 3,0 | 1,35 | 25 ივნისი |
| ტოტენპემი - ლუცერნი | 1,1 | 3,2 | 8,0 | 25 ივნისი |
| პავნარი - უნივერსიტატია | 6,0 | 3,2 | 1,15 | 25 ივნისი |
| არაუ - ტრომსო | 1,25 | 3,0 | 5,6 | 25 ივნისი |
| ბეკეშჩაბა - უნიაუ | 2,0 | 2,5 | 2,5 | 24 ივნისი |
| პერენვენი - ნესტვედი | 1,5 | 2,7 | 4,0 | 25 ივნისი |
| ბოპემიანი - ოდენსე | 5,6 | 3,2 | 1,2 | 24 ივნისი |
| ნორჩიოპინგი - პელსინკი | 1,5 | 2,8 | 3,8 | 25 ივნისი |
| კეფლავიკი - მეცი | 6,5 | 3,4 | 1,1 | 25 ივნისი |
| ლინცი - პარტიკ თისლი | 1,8 | 2,6 | 2,8 | 25 ივნისი |
| ტერვისი - ბუდუჩნოსტი | 6,5 | 3,4 | 1,1 | 25 ივნისი |
| ოფი კრეტა - ნეა სალამინა | 1,1 | 3,4 | 6,5 | 25 ივნისი |
| პოგონი - კანი | 3,2 | 2,8 | 1,6 | 24 ივნისი |
| ბაჩეი - ფარული | 1,3 | 3,0 | 5,0 | 24 ივნისი |
| ბობი - გრონინგენი | 2,0 | 2,5 | 2,5 | 24 ივნისი |
| ჩაპლაული - ეტარი | 1,6 | 2,8 | 3,2 | 24 ივნისი |
| ბეითარი - შარლერუა | 2,4 | 2,4 | 2,2 | 24 ივნისი |
| უიმბლდონი - ბურსასფორი | 1,3 | 3,2 | 4,4 | 24 ივნისი |
| ფლორიანა - ტიროლი | 5,0 | 3,0 | 1,15 | 25 ივნისი |
| გენჩლერბირლიგი - პაპოელი | 1,4 | 3,0 | 4,0 | 25 ივნისი |
| სპარტაკი - აინტრახტი | 5,0 | 3,2 | 1,25 | 24 ივნისი |
| ფორვარტსი - ირაკლისი | 1,8 | 2,7 | 2,7 | 24 ივნისი |

### რაგბის მსოფლიო თასი. ფინალი. 24 ივნისი

**ახალი ზელანდია - სამხრეთი აფრიკა 1,4 7,0 2,0**

მეტოქეები 1921 წლიდან მოყოლებული, ასე 5-7 წლიანი ინტერვალებით, ტურნეზე ენვეოდნენ ხოლმე ერთმანეთს. ამ ხნის მანძილზე გამართული 41 ტესტ-მატჩიდან აფრიკამ მოიგო 20, ზელანდიამ 18, სამი თამაში კი ფრედ დასრულდა.

ეს ტურნეები ვერ შეაფერხა მთელს მსოფლიოში გაშლილმა ანტი-რასისტულმა მოძრაობამაც. 1976 წელს მის გამო შავი აფრიკის ქვეყნებმა მონრეალის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადეს, 1981 წელს ახალ ზელანდიაში მასობრივი არეულობები მოეწყო და კინალამ სამოქალაქო ომში გადაიზარდა, 1986 წელს კი ზელანდის ნაკრების მოთამაშეები ჯგუფ-ჯგუფ, საიდუმლოდ ჩავიდნენ აფრიკაში, იქ გუნდად გაერთიანდნენ, „ოლ ბლექსის“ ნაცვლად „მხედრები“ დაირქვეს და ტურნე მაინც გამართეს. ტესტ-სერია მასპინძლებმა 3-1 მოიგეს. ეს თამაშები ზემოთმოყვანილ ბალანსში არ შედის.

სერია სტუმრად მოუგიათ მხოლოდ აფრიკელებს — 2-1 (1937 წელს). ზელანდიამ სტუმრად მოიგო 1992 წლის მხოლო ტესტი — 27:24 (იოპანესბურგში, 15.VIII). იმ დღეს ყადალაახსნილმა „ქურციკებმა“ რვაწლიანი იზოლაციის შემდეგ პირველი სანქცირებული ტესტი გამართეს.

შარშან, ივნის — აგვისტოში „ქურციკებმა“ ზელანდიაში 14-მატჩიანი ტურნე გამართეს. სამმატჩიანი ტესტ-სერია 2-0 (ერთი ფრე) მოიგო „ოლ ბლექსმა“, ვისაც მანამდე შინ 0-2 წაეგო საფრანგეთთან. დანიდინში (9.VII) თამაში 22:14 დამთავრდა, ველინგთონში (23.VII) 13:9, ოქლენდში (6.VIII) კი 18:18. ამ ბოლო თამაშიდან საფინალოდ „ოლ ბლექსმა“ შეინარჩუნა მხოლოდ ორი უკანახაზელი (ბანსი და გ.ბეშოფი), მაგრამ ერთბაშად 6 მორკინალი. „ქურციკებს“ ეყოლებათ 4 უკანახაზელი (ჟუბერი, მულდერი, ვილიამსი, ლერუ) და ოდენ 3 მორკინალი (პინარი, მ. ენდრიუზი და სვორტი). საერთოდ, იმ ტურნეზე „ქურციკებმა“ უწესობით გამოიჩინეს თავი, რისთვისაც მწვრთნელი მაკინტოში სასწრაფოდ მოხსნეს.

| ზელანდია — აფრიკა | | | | | აფრიკა — ზელანდია | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1921 | 13:5 | 5:9 | 0:0 | | 1928 | 17:0 | 6:7 | 11:6 | 5:13 |
| 1937 | 13:7 | 6:13 | 6:17 | | 1949 | 15:11 | 12:6 | 9:3 | 11:8 |
| 1956 | 10:6 | 3:8 | 17:10 | 11:5 | 1960 | 13:0 | 3:11 | 11:11 | 8:3 |
| 1965 | 6:3 | 13:0 | 16:19 | 20:3 | 1970 | 17:6 | 8:9 | 14:3 | 20:17 |
| | | | | | 1976 | 16:7 | 9:15 | 15:10 | 15:14 |
| 1981 | 14:9 | 12:24 | 25:22 | | 1986 | 21:15 | 18:19 | 33:18 | 24:10 |
| 1994 | 22:14 | 13:9 | 18:18 | | 1992 | 24:27 | | | |



# საძაგიდისი ხურდას იღებს

## ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი

21 ივნისი, ოთხშაბათი

### „ბ" ჯგ. რუსეთი — ფინეთი 126:74



ჩემპიონატის გახსნის მატჩი ვერ გამოდგა საკადრისად დაძაბული. რუსები იმთავითვე დაერივნენ ჩრდილოელ მეზობლებს და შავი დღე აყარეს. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში სამასიოდე მაყურებელი იყო, პოლიცია მაინც ფხიზლობდა. საბერძნეთის საშინაო ჩემპიონატის, უფრო სწორად, „ოლიმპიაკოს" — „პანათინაიკოსის" სისხლიანი ფინალის შემდეგ ათენის „ოლიმპიკ სტადიუმში" შემსვლელი ყველა მაყურებელი საგულდაგულოდ მოწმდება. ქალაქის მთავარი პოლიცმეისტერის საძაგიდისის ბრძანებით, ამ დღეს ყველა გაჩხრიკეს (განსაკუთრებით იუგოსლავია — საბერძნეთის მატჩზე) და ხურდა ფული ჩამოართვეს, ემანდ მსაჯებსა და მოთამაშეებს არ ესროლონო.

### „ბ". საფრანგეთი — სლოვენია 89:68

ფინალურ ეტაპამდე ჩრდილში მყოფმა ფრანგებმა იძალეს და ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულ სლოვენიას მაგარი ალიყური აგემეს. დამთავრებამდე 4,33 წუთით ადრე საფრანგეთი 12 ქულას იგებდა. იუგოსლაველებმა გაბრძოლება კი გადაწყვიტეს, მაგრამ მეტოქის გამთამაშებლისგან ფრედერიკ ფორტესგან დარჩენილ დროში 10 ქულა მიიღეს.

### „ა". ლიტვა — გერმანია 96:82

გერმანია, როგორც ჩანს, დაკარგავს ევროპის ჩემპიონის ტიტულს. პროფესიონალმა დეტლეფ შრემპფმა უკვე მესამედ დაალალატა გუნდი და ევროპაში თამაშს ამერიკაში დასვენება არჩია. ბოლო წამს დაშავდნენ ცენტრები გიუნტერ ბენკე და საშა ჰუპმანი. ერთ-ერთის შემცვლელმა, ფეხბურთელ მეჰმედ შოლივით „გერმანელმა თურქმა" თეომან ოზთურქმა კი ითამაშა, მაგრამ არვიდას საბონისს რას დააკლებდა. ლიტველმა სუპერ-ცენტრმა შესვენებამდე 18 ქულა მოაგროვა. ერთხელ ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო და თავისიანები 16 ქულით დააწინაურა. მაგრამ საბონისს ტაიმის ბოლოს 4 პერსონალური დაუგროვდა, რის გამოც მოედანზე მხოლოდ ერთხელ, ისიც ორი წუთით დაბრუნდა. თუმცა, მისი ყოფნა სულაც არ იყო საჭირო: ულვაშგაპარსულმა პროფესიონალმა შარუნას მარჩულიონისმა კარგად დარაზმა ლიტველები და როცა საბონისი საბოლოოდ გავარდა, 20-ქულიანი უპირატესობა განაღდებული იყო. ამის შემდეგ გარასტასმა მეორე შემადგენლობაც კი დაასვენა და მატჩი „მესამე ეშელონმა" დაამთავრებინა.

### „ა". იტალია — ისრაელი 73:71
### „ა". იუგოსლავია — საბერძნეთი 84:80
### „ბ". ესპანეთი — თურქეთი 85:70

22 ივნისი, ხუთშაბათი

### „ბ". ხორვატია — სლოვენია 91:83

ტონი კუკოჩმა და სტოიან ვრანკოვიჩმა არ დაინდეს ყოფილი თანაგუნდელი იურე ზდოვცი, ვისთანაც ერთად 1991 წელს იუგოსლავიის გუნდში ევროპის ჩემპიონები გახდნენ. ხორვატებს ეტყობოდათ, რომ ორი ამდენის თამაში კიდევ შეუძლიათ.

### „ბ". რუსეთი — საფრანგეთი 85:65

რუსებს წარმატებაში დიდად შეუწყო ხელი „ლიმოჟის" 31 წლის ფრთამ ერიკ ოკანსიმ. გულიტის ვარცხნილობის ზანგმა მოთამაშემ საწყის 5 წუთში ხუთჯერ დაკარგა ბურთი და ორჯერ მალაკო გააკეთა, მწვრთნელმა მიშელ გომესმა კი არაფრით გამოცვალა. მატჩში საუკეთესომ ვასილი კარასიოვმა გადაწყვიტა, ფრანგთა დამრიგებლის გასაკეთებელს მე გავაკეთებო, და ზედიზედ ოთხი პერსონალური აკიდა ოკანსის. ერიკს მაინც არ ცვლიდნენ და მეორე ტაიმში რომ არ დამტვრეულიყო, ვინ იცის, კიდევ რას იზამდა.

რუსებმა ტაიმი 9 ქულით მოიგეს და შემდეგ სხვაობა 15-მდე აიყვანეს. ფრანგები დიდხანს აჩერებდნენ ბურთს, სროლას ვერაფრით ბედავდნენ და აკი ორჯერ ბურთის ფლობისთვის განკუთვნილ დროსაც გადაამეტეს.

### „ა". იტალია — გერმანია 68:67

გერმანია მეორე ტაიმში 7 ქულით დაწინაურდა და საქმეს ალბათ თავის სასარგებლოდ დაამთავრებდა, რომ არა კრისტიან ველპის გავარდნა: სტეფანო რუსკონიმ და გრეგორ ფუკამ ორი პერსონალური მიალებნეს და მოედნიდან გაიყვანეს. უცენტროდ დარჩენილმა გერმანელებმა ერთხანს რიხით ითამაშეს, მაგრამ მერე ფუკამ მათ ფარქვეშ მუსრი გაავლო. ამ 22 წლის და 215 სანტიმეტრიანმა სლოვენიაში დაბადებულ-გაზრდილმა იტალიელმა ზედიზედ სამი ბურთი ჩააგდო და სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. დამთავრებამდე 19 წამით ადრე ჰანსი განადმა ორი საჯარიმო გააცუდა. ესპოზიტომ ბურთი აიღო და იქამდე ატარა, სანამ კოხი არ დაეჯახა და ორი სროლის უფლება მიიღო. განდისაგან განსხვავებით იტალიელს ნერვები არ აშლია.

ამ მატჩების გარდა გუშინ კიდევ სამი შეხვედრა გვიან დასრულდა: ესპანეთი — ფინეთი, ლიტვა — საბერძნეთი, ისრაელი — შვედეთი.

ანტონ ერისთავი



# იმედის იმედად

ხელბურთელ ვაჟთა V ეროვნული ჩემპიონატი საკმაოდ განსხვავდებოდა წინამორბედებისგან. პირველ რიგში, თამაშების მეტი რაოდენობით — ყოველ გუნდს მოუწია 30 მატჩის გამართვამ, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია სათამაშო პრაქტიკის თვალსაზრისით. შეჯიბრება ჩატარდა უცვლელი კალენდრით, დაგეგმილი ვადების შეუცვლელად. საპრიზო სამეულში პირველად გავიდა და შესაბამისად, ევროპულ სარბიელზეც პირველად იასპარეზებს პერიფერიის გუნდი.

აღსანიშნავია, რომ მონაწილეთა ოსტატობის საშუალო დონე თითქმის გათანაბრდა, თუმცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი მაინც გამოირჩევა ყველასგან. ტექნიკოსებმა ექვსი გუნდის ექვსწრიან ტურნირში 27-ვე მატჩი მოიგეს (კიდევ სამში მეტოქის გამოუცხადებლობის გამო მოგება ჩაეთვალათ) და ასპროცენტიანი მაჩვენებლით დაამთავრეს შეჯიბრება. რაც მთავარია, სტუ თამაშობს თანამედროვე, სწრაფ ხელბურთს, რომელიც დაფუძნებულია აქტიურ დაცვასა და სწრაფ კონტრშეტევებზე. ტრადიციულ ლიდერებთან (ვახტანგ მეიფარიანი, ბექა ორჯონიკიძე, გიორგი თურქია, გურამ სარალიძე) ერთად წლეულს დანარჩენებმაც გაცილებით უკეთ ითამაშეს. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ირაკლი კეკელიძის სტაბილური და შედეგიანი თამაში, პროგრესი ზურაბ ურუშაძისა და გია ქობელაშვილის დაოსტატებაში. ტრავმების გამო სრულად ვერ გამოავლინეს შესაძლებლობები ალეკო ბოყოჩაძემ, მერაბ ჩაჩანაშვილმა, დავით იაკობიძემ, მერაბ გაწერელიამ. მეკარე როლანდ ერაძე თანდათან იბრუნებს ჩვეულ ფორმას და იმედია, მალე კლუბსაც და ნაკრებსაც კიდევ ერთი ძლიერი მეკარე ეყოლება. მშვენივრად მოერგნენ გუნდს 16 წლის დებიუტანტებიც მიხეილ ჩიხლაძე და გიორგი ჯავახიშვილი.

ევროპის თასების მფლობელთა თასზე გამოვა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი და თასის ფინალისტი სამტრედიის „მიმი". კლუბში სეზონის წინ მივიდა ხუთი ძლიერი ხელბურთელი (ირაკლი კენჭაძე, ტიტე კალანდაძე, ბიძინა მინდელი, მიხეილ კერესელიძე, ანდრო ანდრიაშვილი), რომლებმაც ადგილობრივ მოთამაშეებთან ერთად საკმაო ძალის გუნდი შეადგინეს. „მიმი" სტუ-ს გარდა არავისთან დამარცხებულა, ყველა დანარჩენს დიდი უპირატესობით სძლია და დამსახურებულადაც დაიკავა მეორე ადგილი. იმედია, გუნდი შემდგომაც წარმატებით იასპარეზებს, მით უფრო, რომ „მიმი" ერთი სეზონის გუნდი არ გამოდგა, როგორც ხშირად ხდება ჩვენში. სამტრედიელთა პრეზიდენტს ტარიელ ჩაჩუას და მწვრთნელებს სამომავლოდ უფრო დიდი მიზნები აქვთ.

მართალია, შარშანდელი მესამე ადგილი შეინარჩუნა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გუნდმა „მამულმა", მაგრამ შემადგენლობის მხრივ ყველაზე დიდი დანაკლისი სწორედ მან განიცადა და ჩემპიონატის ფინიშზე სულ 7-8 მოთამაშის ამარაღა დარჩა. ეს ალბათ კლუბის რთული ფინანსური მდგომარეობის ბრალია. სპონსორი „TBC" ძველებურად ველარ ეხმარება და მოთამაშეებიც უხელფასოდ არიან. „მამულს" აგვისტოს ბოლოს ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე მოუწევს ასპარეზობა. თუ დარჩენილ დროში არ მოგვარდა მატერიალური პრობლემები, მხოლოდ „მამულის" ბირთვი (ელიზბარ არსენაშვილი, თამაზ ქოქოსაძე, კახა ღლონტი, დავით მჭედლიშვილი, ზაზა ჯიაძე, გოჩა მაღლაქველიძე) ვერ შეძლებს ევროპაში ღირსეულად გასვლას.

ძალზე სუსტად იასპარეზა წინა ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა „ამირანმა". გუნდი დატოვა სამმა წამყვანმა მოთამაშემ, თანაც თუკი შარშან ორი გუნდით გამოდიოდა, ბოლო ტურში შვიდ მოთამაშესაც ძლივს მოუყარა თავი. ამის ძირითადი მიზეზი კი ისევ და ისევ ფინანსური კრიზისია, რომელშიც კლუბი კონცერნ „ამირანის" დაშლის შედეგად აღმოჩნდა. გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც ოთხი ორმეტრიანი მოთამაშე და ნაკრების რამდენიმე კანდიდატია, სადღეისოდ ძალზე მძიმე პირობებშია.

ფოთის „ოქროს ვერძი" ფაქტობრივად ცარიელ ადგილზე შეიქმნა ვეტერან ხელბურთელთა (გელა შურღაია, ლევან ცაგურია, გაგა გაგულია, რევაზ კუცია) ენთუზიაზმით ისე, რომ არავინ შეუწუხებიათ. ჩამოყალიბდა საკმაოდ საინტერესო, პერსპექტიული კოლექტივი, რომელიც ტურიდან ტურამდე უმატებდა თამაშს. თუკი ქალაქის ხელმძღვანელობა მხარს დაუჭერს კლუბს, „ოქროს ვერძი" იქნებ უკვე გაისადაც გავიდეს ევროპულ სარბიელზე. ფოთელთა რიგებში აღნიშვნის ღირსნი არიან ნაკრების კანდიდატები: მეკარე ოლეგ მასიუკოვი, „კუთხეები" გელა თითბერია და გოჩა მარგებაძე. ძალზე ძლიერად ჩაატარა ჩემპიონატი გუნდის ლიდერმა ზვიად შათირიშვილმა, რომელიც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

მეექვსე გუნდი „მართვე", ფაქტობრივად კი 1978-79 წლებში დაბადებულთა საქართველოს ნაკრები, ჩემპიონატის სტარტზე, რომ იტყვიან, მხოლოდ ქულებს არიგებდა. მერე და მერე ბიჭებმა იგრძნეს საკუთარი ძალა და თითქმის ყველასთვის ანგარიშგასაწევნი გახდნენ.

დღეიდანვეა საჭირო მომდევნო პირველობისთვის მზადება, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაიძლიოს ფინანსური და ორგანიზაციული პრობლემები. ჩემპიონატი სექტემბერში დაიწყება და მაისამდე გასტანს. მასში ალბათ რვა გუნდი იასპარეზებს. იმედი გვაქვს, მომავალ ჩემპიონატს სპონსორიც ეყოლება და ხელბურთსაც, ბოლოს და ბოლოს დაუბრუნდება მაყურებელი.

მერაბ მეტრეველი,
ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი

**საქართველოს ჩემპიონატი**

19 ივნისი: „ოქროს ვერძი" (ფოთი) — „მართვე" 34:34 (14:20), „მიმი" (სამტრედია) — „ამირანი" 29:22 (15:10), სტუ — „მამული" 32:24 (14:11)

20 ივნისი: „მიმი"— „ოქროს ვერძი" 32:25 (18:14), „მართვე" — „მამული" 10:0 (არ გამოცხადდა), სტუ — „ამირანი" 10:0 (არ გამოცხადდა)

საბოლოო მდგომარეობა

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 30 | 0 | 0 | 899:619 | 60 |
| მიმი | 23 | 1 | 6 | 912:731 | 47 |
| მამული | 14 | 1 | 14 | 824:869 | 29 |
| ამირანი | 12 | 0 | 17 | 788:841 | 24 |
| ოქროს ვერძი | 4 | 2 | 24 | 717:866 | 10 |
| მართვე | 2 | 2 | 26 | 689:913 | 6 |

მამულისა და ამირანის მეორე წრის შეხვედრა არ შედგა. ორივე გუნდს ნაგება ჩაეთვალა

ფეხბურთ-კალათბურთისა არ იყოს, „სარბიელმა" ხელბურთშიც მოაწყო საუკეთესო მოთამაშის გამოსავლენი კონკურსი. ერთი განსხვავებით: სამ-სამი უძლიერესის დასახელება ვთხოვეთ სპეციალისტებს (მწვრთნელებსა და მსაჯებს), რადგან ჩვენი კოლეგები ხელბურთის ნაკლებად არიან და პრაქტიკულად არც კი ვაუყურებიათ ჩემპიონატის შეხვედრებზე ტელევიზიის და ერთი-ორი გამოჩენის გარდა.



**ვახტანგ მეიფარიანი**

დაიბადა 1970 წლის 7 ივლისს, თბილისში. სიმაღლე 184 სმ, წონა 78 კგ. ამპლუა — გამთამაშებელი. საქართველოს ნაკრებში ითამაშა ყველა, 14 ოფიციალური მატჩი, გაიტანა 20 გოლი. ზრდილ, თავაზიან ახალგაზრდას მწვრთნელები ასე ახასიათებენ: გუნდის ტვინი, მეტად ტექნიკური და ჭკვიანი მოთამაშე, ვარჯიშზეც და თამაშშიც თავდადებული მშრომელი.

სულ დასახელდა 11 მოთამაშე. 12 გამოკითხულიდან ხუთმა პირველ ნომრად სტუ-ს კაპიტანი ვახტანგ მეიფარიანი მიიჩნია. ორ-ორი „პირველი ხმა" მიიღეს მეიფარიანის თანაგუნდელმა ბექა ორჯონიკიძემ და სამტრედიის „მიმის" მეკარემ ირაკლი კენჭაძემ, თითო — ირაკლი კეკელიძემ (სტუ), ტიტე კალანდაძემ („მიმი") და თამაზ ქოქოსაძემ („მამული"). ამათ გარდა დასახელდნენ ბიძინა მინდელი და მიხო კერესელიძე („მიმი"), ზვიად შათირიშვილი („ოქროს ვერძი"), კახა ღლონტი („მამული") და გურამ სარალიძე (სტუ).

1994-95 წლების სეზონის საქართველოს საუკეთესო ხელბურთელი გახდა ნაკრებისა და სტუ-ს კაპიტანი, 24 წლის ვახტანგ მეიფარიანი, რომელმაც 33 ქულა დააგროვა (5 პირველი, 1 მეორე, 5 მესამე ადგილი) და ბევრით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ორჯონიკიძეს — 21 (2, 3, 2). კენჭაძე 14 ქულით (2, 1, 1) მესამე იყო.

# ბომბარდირის ორი კოლექცია

გოლეადორის ყურება საცოდაობა იყო: ტრავმებით გატანჯული ზვიად შათირიშვილი ვერც ნორმალურად ხტებოდა და კოჭლობდა კიდეც, არადა, 13 გოლი მაინც შეაგდო და, ამ საქმეში პირველობაც გაინაღდა.

**— ზვიად, რა გაწუხებს, ასე წვალებით რომ თამაშობ?**

— რა მაწუხებს კი არა, რა არ მაწუხებს:მარცხენა ფეხის ქუსლის დაბეჟილობა, მარჯვენა მტევნის სახსრის ართროზი, მარჯვენა ბეჭის მყესების დაზიანება, წელის მწვავე ოსტეოქონდროზი, მოკლედ, გოლებთან ერთად ტრავმების მთელი „კოლექციაც" დამიგროვდა.

**— მიუხედავად ამისა, ხშირად უძლები თამაშს, თუმცაღა ასევე ხშირად შენი აქტიურობა ზედმეტ ინდივიდუალიზმში გადადის...**

**ბომბარდირები (გოლი, თამაში, საშუალოდ)**

| | | |
|---|---|---|
| ზვიად შათირიშვილი, ოქრ. ვერძი | | |
| 259 | 23 | 11,3 |
| მიხო კერესელიძე, მიმი | | |
| 241 | 28 | 8,6 |
| ტიტე კალანდაძე, მიმი | | |
| 160 | 19 | 8,4 |
| ბექა ორჯონიკიძე, სტუ | | |
| 199 | 25 | 8,0 |
| კახა ღლონტი, მამული | | |
| 127 | 16 | 7,9 |
| ალეკო ბოყოჩაძე, სტუ | | |
| 178 | 24 | 7,4 |
| კობა თორდია, ამირანი | | |
| 180 | 25 | 7,2 |
| ელიზბარ არსენაშვილი, მამული | | |
| 170 | 25 | 6,8 |
| გიორგი გვაზავა, მართვე | | |
| 173 | 28 | 6,2 |
| ირაკლი ხურციძე, ამირანი | | |
| 124 | 25 | 5,0 |

— შარშან „მამულიდან" „ოქროს ვერძში" რომ გადავედი, ისე ვიგრძენი თავი, როგორც თევზმა წყალში. აქ სწორედ გუნდის ლიდერობამ მომიწია. მერე და მერე, ბევრი გოლი რომ გავიტანე, გუნდიც რაღაცნაირად ჩემს გოლეადორობაზე აეწყო, მეც ეშხში შევედი, თანაც, ყველა იმ მწვრთნელისთვის, ვინც ამ სამი წლის განმავლობაში არ მენდო, მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ცდებოდნენ. ჩემი ინდივიდუალიზმიც ალბათ ამის ბრალია, თუმცა, ვთვლი, რომ გუნდის ინტერესებისთვის არ მიღალატია, ეგაა, ზოგ თამაშში, როცა წაგება უკვე გარდაუვალი იყო, მეც და თანაგუნდელებიც ჩემს ბომბარდირობაზე ვთამაშობდით.

**— შენი აზრით, რა თვისებები გაკლია სამისოდ, ძლიერი ხელბურთელი რომ დადგე?**

— სისწრაფე, გამძლეობა და, რაც მთავარია, სათამაშო პრაქტიკა. ბოლო ორი წელი ტრავმებისა და ზოგი მწვრთნელის უნდობლობის გამო, ფაქტიურად, არ მითამაშია.

**— მე ამას საქმისადმი პროფესიულ დამოკიდებულებას, ტაქტიკურ აზროვნებას და დაცვაში თამაშს დავამატებდი. მიუხედავად ამისა, ნაკრების კანდიდატთა სიაში მაინც ხარ...**

— ვერ წარმოიდგენ, რას ნიშნავს ჩემთვის ნაკრების მწვრთნელის გია ნარიმანიძის ნდობა. ჩემი ოცნება დიდი ხელბურთის თამაშია, ვგრძნობ, თუ მოვინდომებ შევძლებ კიდეც ამას. ამიტომაც ბავშვივით მიხარია, როცა მწვრთნელები მენდობიან.

**— ქუთაისელი კაცი თბილისში იმიტომ ჩამოხვედი, რომ ფოთში გადასულიყავი?**



— ფოთელმა ვეტერანმა ხელბურთელებმა ქალაქში ხელბურთის აღორძინება განიზრახეს. მეც ჩემი წვლილი შემაქვს. მომავალ სეზონშიც ფოთის გუნდში ვითამაშებ, ოღონდ სექტემბერში ევროტურნირებზე სამტრედიის „მიმის" შემადგენლობაში გამოვალ.

...ზვიადმა მეხუთე ჩემპიონატის 23 მატჩში 259 გოლი გაიტანა, არადა, გაცილებით ნაკლები ითამაშა კონკურენტებზე. თუ ტრავმები მოირჩინა და საქმესაც უფრო გულიანად მოეკიდა, ალბათ სეზონში 300 გოლის გატანასაც შეძლებს. თუ არა და, რომ იტყვიან, ფოთს ვერ გასცილდება.

მამუკა კვარაცხელია

# პარიზში «გაპრანჭვა» მოგვიწევს

**— ვახტანგ, ხელბურთამდე სხვა სახეობას თუ მისდევდი?**

— არა. 13 წლისა ვიყავი, როცა მეგობრების რჩევით „ქარიშხალას" სპორტსკოლაში მივედი მერაბ მეტრეველის ჯგუფში.

**— ხელბურთელი რომ არ გამოსულიყავი?**

— დარბაზის რომელიმე ბურთიან სახეობას გავყვებოდი — კალათბურთს ან ფრენბურთს.

**— ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ყველაზე კარგად ვისთან ითამაშა?**

— ჩემი აზრით, შედარებით უკეთ ვითამაშეთ იტალიელებთან, დასაწყისში სამი ბურთითაც დავწინაურდით, მაგრამ მერე, ძირითადად გამოუცდელობისა და იმათთან შედარებით სუსტი ფიზიკური მომზადების გამო, მაინც დავმარცხდით 6 ბურთით.

**— შენს თამაშში მთავარ ნაკლად რას თვლი?**

— არასაკმაო ფიზიკურ მომზადებას.

**— ვის დაასახელებდი ჩვენს საუკეთესო ხელბურთელად?**

— რა თქმა უნდა, ბექა ორჯონიკიძეს. მან ნაკრებშიც და შინაურ ჩემპიონატშიც მთელი სეზონი ჩინებულად ჩაატარა.

**— უცხოელთაგან ვის თვლი სამაგალითოდ?**

— მინსკელ ვლადიმერ იაკიმოვიჩს, რომელიც მესამე წელია ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში ესპანეთის „ტეკა-სანტანდერში" თამაშობს. აქვს მაღალი ნახტომი და უძლიერესი ტყორცნა, რაც მთავარია, გამოირჩევა თამაშის უნივერსალური, სრულყოფილი მანერით. ერთი სიტყვით, ამ ათლეტის ყოლას უმაღლესი დონის ნებისმიერი კლუბი ინატრებს.

**— თავად ხომ არ გიჭირავს ევროპისკენ თვალი?**

— კარგი იქნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენებიდან უცხოელებს მხოლოდ ბექა მოეწონათ. სექტემბერში პარიზში ვითამაშებთ ძალზე ძლიერი შემადგენლობის, პრესტიჟულ ტურნირში, სადაც საკმაოდ იქნებიან სკაუტები. ვნახოთ, იქნებ კიდევ ერთი-ორ ჩვენიანს დაადგან თვალი.

გია ახალაძე



მაიკ ტაისონი

## ეგ მოძალადე კერპად ვერ გამოგვადგებაო!

ციხიდან ნაადრევად, სამი წლით ადრე გამოშვებულ, მსოფლიოს მძიმეწონოსან ექს-ჩემპიონ მაიკ ტაისონს ჰგონებია, ჩემს მშობლიურ ჰარლემში რომ მივალ, იქაური ზანგობა ხელგაშლილი დამიხვდება, გალა-ფესტივალს მომიწყობს და ღია მანქანით უბნებს მომატარებსო, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. ჰარლემელმა აქტივისტმა ქალებმა მთელი რაიონი შეჰყარეს, მაგ კაცმა ქალი გააუპატიურა, ამიტომ ჩვენი შვილების კერპად ვერ ივარგებს და აქედან დაიკარგოსო.

ამის შემტყობი ტაისონი კრძალვით ეწვია ერთ-ერთ რესტორანს და პრეს-კონფერენცია გამართა, თუმცა შეკითხვებს ერთობ აბდა-უბდად პასუხობდა. მოკრივეს მხარს უმშვენებდნენ ოფოფისთავა მენეჯერი დონ კინგი და ზანგების უფლებებისათვის შეურიგებლად მებრძოლი მოღვაწე, მამა ალ შაპტენი.

ტაისონმა მიკიბ-მოკიბა, ქალებზე ძალადობის გამო რომ ჩამოუგდეს სიტყვა. სამაგიეროდ შენიშნა, რომ 100 მილიონ დოლარს გაიღებს ქველმოქმედებისთვის, გათავისუფლების შემდეგ პირველი ბრძოლის შესახებ კი თქვა, ერთობ ვღელავო, რაკილა მეტოქე სულ ერთხელ ვერ შევაფასე საკადრისად და მაშინვე წავაგე — 1989 წლის თებერვალში ჯეიმს ბასთერ-დაგლასმა დამანოკაუტაო.

ტაისონი 19 აგვისტოს ლას-ვეგასში უნდა შეერკინოს პიტერ მაკნილის, რომელიც ირლანდიელი ამერიკელია, მაგრამ ბოსტონის გარეთ ფაქტობრივად უცნობია, ვინაიდან იმ 37 ბრძოლიდან, რომელთაგან ერთადერთი წაუგია, უმეტესობა ამ ქალაქის შემოგარენში გაუმართავს.

მენეჯერ კინგს ერთობ იმედიანად ეჭირა თავი. მისი თქმით, ტაისონის პირველ ბრძოლაზე დასასწრები 17 ათასი ბილეთის მეტი წილი უკვე გაიყიდა.

ვალერი ჯიქია

# ქვეყანა არ დაიქცევა

თომას მუსტერმა „როლან გაროსამდე" მოიგო ხუთი ტურნირი, რომლებიც მიწის კორტებზე ტარდებოდა. „ასეთ საფარზე საოცრად სახიფათო ვარ" — ამბობს მუსტერი და ის სავსებით მართალია. საფრანგეთის ღია ჩემპიონატამდე მან ზედიზედ ოცდაექვსჯერ გაიმარჯვა, მეჰიკაში, ესტორილში, ბარსელონაში, მონტე კარლოში და რომში იგი პირველი იყო. იტალიაში მისი ტრიუმფის შემდეგ „გაძეტა დელლო სპორტმა" მას „დაუმარცხებელი" უწოდა. ესპანურმა „ელ დიარომ" ავსტრიელს „ალპელი მონსტრი" შეარქვა. თავად მუსტერი პრესის ამგვარ შეფასებებს დიდ ყურადღებას არ აქცევს: „რა ეპითეტით არ მამკობდნენ, დათვს, ვეფხვს, ჯიქს, ლომს ან სულაც ცხოველს მიწოდებდნენ. ცოტაა ამ ქვეყნად ისეთი ხალხი, ვისაც ჩემსავით უყვარს ჩოგბურთი, ვისთვისაც იგი ისაა, რაც ჩემთვის — წყალი, პური და ჰაერი." თავისი აღზევება მსოფლიო კლასიფიკაციის მეხუთე საფეხურზე თომასს ლოგიკურად მიაჩნია: „მე ამ ადგილზე დამსახურებულად ვიმყოფები, ის ჩემთვის არავის უჩუქნია".

მუსტერს მეგობრების მცირე წრე ჰყავს. მათ შორისაა მისი მწვრთნელი და მენეჯერი რონალდ ლაითგები, რომელიც ავსტრიის რადიოს კომენტატორიცაა. „ჩემი ხასიათის გამო" — ამბობს თომასი — „ხალხს ჩემთან ურთიერთობა უჭირს. ბავშობიდან საკუთარ თავში ვიყავი ჩაკეტილი და გულისტკივილს მხოლოდ ჩემს თავს ვუზიარებდი.".

თავის თავს მუსტერი ამერიკელ მსახიობთან რობერტ დე ნიროსთან ანაც გერმანელ მეკარე ტონი შუმახერთან აიგივებს: „ამათ ჩემსავით გასაოცარი ნებისყოფა აქვთ, ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა შეუძლიათ."

ფრანგული „ეკიპის" აზრით, მუსტერი გვაგონებს რომაელ გლადიატორს, რომელიც ყველა ბურთისთვის ისე იბრძვის, როგორც საკუთარი სიცოცხლისთვის. თომასს რომ ჰკითხოთ, ჩოგბურთელი მეგობრად არ უნდა გაიხადო: „კორტზე მეტოქისაგან მტრის ხატი უნდა შექმნა. თუ ეს ვერ მოახერხე, გაგიჭირდება აგრესიულად ბრძოლა მის წინააღმდეგ."

წარმოუდგენელი ნებისყოფის წყალობით მოახერხა მუსტერმა კორტზე დაბრუნება. 1989 წელს, კი-ბისკეინის ტურნირის ფინალამდე ერთი საათით ადრე მან საშინლად დაიზიანა ფეხი — მანქანამ, რომელსაც მთვრალი მძღოლი მართავდა, მარჯვენა მუხლი ჩაუმტვრია.

ოსტატობას მრავალი წლის მძიმე მუშაობის შემდეგ აღწევს ადამიანი — განაცხადა მუსტერმა დიდი სლემის ტურნირში თავისი პირველი გამარჯვების შემდეგ და ესეც დასძინა: — საფრანგეთის ღია ჩემპიონატში ჩემი გამარჯვებით ქვეყანა არ დაიქცევა.

ერეკლე კიკილაშვილი





ბორის ბეკერი აწი ალბათ ენას კბილს დააჭერს

## ვაჟთა სათიხნარო სეზონის ფინალები

| | | |
|---|---|---|
| 27 თებ - 6 მარ | მეხიკო | თომას მუსტერი (ავს) — ფერნანდო მელიჟენი (ბრა) 7:6, 7:5 |
| 20-26 მარტი | კასაბლანკა | გილბერტ შალერი (ავს) — ალბერტო კოსტა (ესპ) 6:4, 6:2 |
| 3-9 აპრილი | ეშტორილი | თომას მუსტერი — ალბერტო კოსტა 6:4, 6:2 |
| 10-16 აპრილი | ბარსელონა | თომას მუსტერი — მაგნუს ლარსონი (შვე) 6:2, 6:1, 6:4 |
| 17-23 აპრილი | ნიცა | მარკ როსე (შვეიც) — ევგენი კაფელნიკოვი (რუს) 7:5, 3:6, 6:4 |
| 17-23 აპრილი | ბერმუდა | ხავიერ ფრანა (არგ) — აბას პადადი (მარ) 7:6, 3:6, 6:4 |
| 24-30 აპრილი | მონაკო | თომას მუსტერი — ბორის ბეკერი (გერ) 4:6, 5:7, 6:1, 7:6, 6:0 |
| 1-7 მაისი | ატლანტა | მაიკ ჩანგი (აშშ) — ანდრე აგასი (აშშ) 6:2, 6:7, 6:4 |
| 1-7 მაისი | მიუნხენი | ვეინ ფერეირა (ს. აფრ) — მიხაელ შტიხი (გერ) 7:5, 7:5 |
| 8-14 მაისი | ჰამბურგი | ან. მედვედევი (უკრ) — გორან ივანიშევიჩი (ხორ) 6:3, 6:2, 6:1 |
| 8-14 მაისი | პაინპერსტი | თომას ენკვისტი (შვე) — ხავიერ ფრანა (არგ) 6:3, 3:6, 6:3 |
| 15-21 მაისი | რომი | თომას მუსტერი — სერხი ბრუგერა (ესპ) 3:6, 7:6, 6:2, 6:3 |
| 15-21 მაისი | კ. სპრინგსი | თოდ ვუდბრიჯი (ავსტრალ) — გრეგ რუსედსკი (კან) 6:4, 6:2 |
| 22-28 მაისი | ბოლონია | მარსელო რიოსი (ჩილე) — მარსელო ფილიპინი (ურუ) 6:2, 6:4 |
| 29 მაი - 11ივნ | პარიზი | თომას მუსტერი — მაიკ ჩანგი 7:5, 6:2, 6:4 |

## ხუთკვირიანი სეზონის აპოგეა

ორშაბათს იწყება მორიგი უიმბლდონი.

ქალთა განთესვა მკაცრად მიყვება ჩოგბურთელთა რეიტინგებს. მართალია, ბალახი ერთობ სპეციფიკური საფარია და მისი სეზონიც მხოლოდ ხუთ კვირას გრძელდება, მაგრამ ორგანიზატორებმა მაინც ვერ შეკადრეს დარღვევა კლასიფიკაციას და არ განთესეს ჯიჯი ფერნანდესი, ვინაც ამგვარ ზედაპირზე გამორჩეულად კარგად თამაშობს. სამაგიეროდ, ვაჟთა მე-16 ნომრად შეიყვანეს ფრანგი ფორჟე, ვინაც ბევრს უტირა დედა წინა კვირაში, ლონდონის „ქვინზ ქლაბში" ასპარეზობისას.

თუ ყველაფერი განთესვის შესაბამისად წარიმართება, ე.ი. ძლიერი სუსტსა სძლევს, მაშინ მეოთხედფინალებში განთესილები ასე დაწყვილდებიან:

ქალები. გრაფი — დავენპორტი, ნოვოტნა — დატე; საბატინი — მარტინესი, პირსი — სანჩეს-ვიკარიო.

ვაჟები. აგასი — ფერერა, ბეკერი — ჩანგი: ივანიშევიჩი — კაფელნიკოვი, სამპრასი — ბრუგერა.

პირველ წრეში რთული მატჩი ელის გრაფს, ვისაც 14 წლის შეიცარიელ მარინა ჰინგისთან მოუწევს თამაში. ჰინგისი კლასიფიკაციაში უკვე მე-19 ადგილზეა, გრაფი კი შარშან პირველსავე წრეში გააგდო ამერიკელმა ზანგმა, 30 წლის ლორი მაკნილმა.

ვაჟთა პირველი წრის მატჩებიდან აღსანიშნავია ბეკერ — ალბერტო ბერესატეგის (ესპანეთი) და ბრუგერა — ანდერს იარიდის (შვედეთი) შეხვედრები.

უიმბლდონში არ იასპარეზებს მუსტერი, ვისაც ბალახზე თამაში ვერ ეხერხება. თავიდან იგი მე-8 ნომრად განეთესათ, მაგრამ მის ნაცვლად ახლა ბრუგერა ჩასვეს.

მუსტერის შეურაცხყოფის გამო ორშაბათს უმკაცრესი სასჯელი დაეკისრა ბეკერს. აპრილში, მონტე-კარლოს შეჯიბრზე, ნახევარფინალში არაქათგაცლილმა, მაგრამ მერე საავადმყოფოში მოსვენებულმა და მოღონიერებულმა მუსტერმა ფინალში ბეკერს რომ მოუგო, გერმანელმა ეჭვი საჯაროდ გამოთქვა, ემანდ დოპინგს ხომ არ ეტანება ავსტრიელიო. მუსტერმა უმალ მოითხოვა, გამსინჯეთო და სიმართლე კიდეც დაამტკიცა, ბეკერს კი ჩოგბურთისათვის სახელის გატეხის საბაბით პროფესიონალთა ასოციაციამ 20 ათასი ამერიკული დოლარის გადახდა დაავალა. ბეკერი ეხლა თავს იმართლებს, სიტყვა „დოპინგი" არ მიხსენებიაო და ათი დღე აქვს საჩივრის შესატანად. ასოციაციის წესებით კი მაქსიმალური ჯარიმა 50 ათასი ყოფილა.

42 წლის ჯიმი კონორსი უიმბლდონში თამაშს არ აპირებს, მაგრამ სხვებთან ერთად კი ხურდება გერმანიის ქალაქ ჰალეში. იქ ვეტერანმა 6:4, 7:6 დაამარცხა კანადელი სებასტენ ლერუ. სამაგიეროდ, სამ ხელში წააგეს: კურიემ — რენებერგთან (აშშ), მედვედევმა — ელტინგთან (ჰოლანდია), ფორჟემ — ბეშთან (საფრანგეთი). ნაკლები პანტა-პუნტით როდი გაცვენილან განთესილები ისთბორნის ქალთა შეჯიბრში. დატემ (1) 7:5, 6:2 კი მოუგო შრაივერს (აშშ), ზვერევამ (2) — 6:1, 6:4 ენდოს (იაპონია), მაგრამ შულცმა (3) წააგო ზინგერთან (გერმანია), სუკოვამ (4) — მაკნილთან (აშშ), ჯიჯი ფერნანდესმა (5, აშშ) — ტოზიასთან (საფრანგეთი), ვერდლ-ვიტმაიერი (7, აშშ) კი ზურგის ტრავმის გამო გამოაკლდა შეჯიბრს.

ირაკლი ნინუა

## უიმბლდონის ტურნირის განთესვა

| ვაჟები | | ქალები | |
|---|---|---|---|
| 1 | ანდრე აგასი, აშშ | 1 | შტეფი გრაფი, გერმანია |
| 2 | პიტ სამპრასი, აშშ | 2 | არანტა სანჩეს-ვიკარიო, ესპანეთი |
| 3 | ბორის ბეკერი, გერმანია | 3 | კონჩიტა მარტინესი, ესპანეთი |
| 4 | გორან ივანიშევიჩი, ხორვატია | 4 | იანა ნოვოტნა, ჩეხეთი |
| 5 | მაიკლ ჩანგი, აშშ | 5 | მარი პირსი, საფრანგეთი |
| 6 | ევგენი კაფელნიკოვი, რუსეთი | 6 | კიმიკო დატე, იაპონია |
| 7 | ვეინ ფერერა, სამხრ. აფრიკა | 7 | ლინდსი დავენპორტი, აშშ |
| 8 | სერხი ბრუგერა, ესპანეთი | 8 | გაბრიელა საბატინი, არგენტინა |
| 9 | მიხაელ შტიხი, გერმანია | 9 | ანკე ჰუბერი, გერმანია |
| 10 | მარკ როსე, შვეიცარია | 10 | ნატაშა ზვერევა, ბელარუსი |
| 11 | ჯიმ კურიე, აშშ | 11 | ივა მაიოლი, ხორვატია |
| 12 | რიხარდ კრაიჩეკი, ჰოლანდია | 12 | ემი ფრეიზერი, აშშ |
| 13 | სტეფან ედბერგი, შვედეთი | 13 | მერიჯო ფერნანდესი, აშშ |
| 14 | ტოდ მარტინი, აშშ | 14 | ნაიოკო სავამაცუ, იაპონია |
| 15 | ანდრეი მედვედევი, უკრაინა | 15 | ბრენდა შულცი, ჰოლანდია |
| 16 | გი ფორჟე, საფრანგეთი | 16 | ჰელენა სუკოვა, ჩეხეთი |

## აქეთური, იქითური

მსოფლიოს პირველ მესქვოშეს, პაკისტანელ ჯანშირ ხანს ბრიტანეთის საკლუბო სუპერ-ლიგამ წლის ბოლომდე მიუსაჯა დისკვალიფიკაცია. შარშან „დიდ ხანს" შოტლანდიელ ნიქოლთან 0:10, 0:9, 0:9 ისე წაუგია, რომ მონდომების ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა, რაც ლიგის თქმით, შეუფერებელი [illegible] პროფესიონალისთვის.

*

10 სექტემბერს მონცას ავტოდრომზე [illegible] დიდი პრიზის გამართვა კვლავ [illegible] ეგებიო გამხდარა. შარშან ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნით ორგანიზატორებს ტრასა ისე გადაუკეთებიათ, რომ სიჩქარე შეემცირებინათ და რბოლა უხიფათო გაეხადათ. წელს ფედერაციამ ერთი-ორი მუხთალი მოსახვევის მეტად გამარტივება მოითხოვა, რასაც კიდევ 160 ძირი საუკუნოვანი მუხა და წაბლი უნდა შეეწიროს, ამათი შესაძლო მოჭრის გამო კი მონცას მეპატრონეებს იტალიელი მწვანეების რისხვა და სასამართლოებში ჩივილი არ ასცდებათ. ფედერაციის პრეზიდენტი, ბრიტანელი მაქს მოუზლი იტალიელ მასპინძლებს დაქადნებია, თუ აგვისტოსათვის ტრასა მზად ვერ გექნებათ, რბოლას არ გაგამართვინებთო.

*

ჰოკეის ეროვნული ლიგის (ნჰლ) უმთავრესი ჯილდოს — სტენლის თასის პლეი-ოფის მეორე თამაშიც „ნიუ-ჯერსი დევილზმა" მოიგო — 4:2. „დეტროიტ რედ ვინგზი" სერიას 0-2 აგებს, თასის მოსაპოვებლად კი ოთხი თამაშის მოგება კმარა.

*

მარცხით დასრულდა ექს-გდრ-ელი ძალოსნის, 33 წლის როლანდ შმიდტის მცდელობა, კომპენსაცია გადაეხდევინებინა სპორტის ხელისუფალთათვის, რომელთა მიერ წარმოებული სისტემური დოპინგკურსების გამო ძალოსანს გულ-მკერდის სიმსივნე განუვითარდა და საოპერაციო შეიქნა. დრეზდენის სასამართლოს განჩინებით ახალი, გაერთიანებული გერმანიის კანონებს ძალა არა ჰქონია გდრ-ისდროინდელი დავების გარჩევის დროს.

*

შვეიცარიის ველოტურზე ლიდერი შეიცვალა. რუსმა პაველ ტონკოვმა მოიგო 192-კილომეტრიანი VII ეტაპი და 11 წამით უსწრებს მასპინძელ ზულეს. წინა და შემდეგი ეტაპები იტალიელებმა მოიგეს: შესაბამისად, ჯოვანი ლომბარდიმ და მარკო პანტანიმ, კიდევ ერთ იტალიელ მრბოლს — ადრიანო ბაფის კი გაუცდება საფრანგეთის ტური, ვინაიდან კატალონიის ტურში მონაწილეობისას დაცემულა და ლავიწის ძვალი მოუტეხავს.

*

ავტოავარიაში დაღუპულა ამერიკული ბურთაობის ეროვნული ლიგის (ნფლ) კლუბ „სან-დიეგო ჩარჯერზის" ლაინბექერი დევიდ გრიგსი. მისი მანქანა ფლორიდაში შესჯახებია საგზაო ნიშნების ბოძს. ლაინბექერი (სამნი არიან) მხოლოდ დაცვაში თამაშობს, ექვსკაციანი მწყობრის უკან დგება და გარღვევაზე გამოსული მეტოქის ალაგმვასთან ერთად ქვორთერბექის შორი პასების ჩაჭრაც ევალება.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29